ეროვნული ბიბლიოთეკა

№182 (12 252)
4 აგვისტო შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# 30 ქულა რუმინეთთან

## ფაჩულია კი ამერიკაში გაემგზავრა


ზაზა ფაჩულიას რუმინეთთან არ უთამაშია

**საქართველო–რუმინეთი 88:58**

25:11,16:16,24:15,23:16

საქართველო: **ცინცაძე** (20 წთ, 2 ქ), **ელისი** (21 წთ, 9 ქ), **მ. მარკოიშვილი** (18 წთ, 11 ქ), **სანიკიძე** (12 წთ, 10 ქ), **უგრეხელიძე** (25 წთ, 6 ქ, 7 მ), **ნაცვლიშვილი** (20 წთ, 11 ქ, 6 მ), **ბაბიაშვილი** (15 წთ, 11 ქ), **გამყრელიძე** (21 წთ, 11 ქ, 4 პ), **ა. ბოისა** (14 წთ, 2 ქ, 4 მ), **ტულუში** (14 წთ, 8 ქ), **შერმადინი** (8 წთ, 4 ქ), **ლეჟავა** (11 წთ, 3 ქ)

პორტუგალიის ქალაქ ელვაშში გუშინ დაიწყო ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ასპარეზობს. პირველ მატჩში **კენ შილდსის** გუნდის მეტოქე რუმინეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მატჩამდე ჩვენი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი **ზაზა ფაჩულია** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, საქართველოს ნაკრებმა მაინც უპრობლემოდ, მთელი ოცდაათქულიანი სხვაობით დაჯაბნა კარპატელები.

რაც შეეხება ზაზას ამერიკაში მოულოდნელ წასვლას, მას "ატლანტამ" უხმო და მწვრთნელებთან შეთანხმების შემდეგ, კლუბს მიაშურა. ფაჩულია ნაკრებს უახლოეს დღეებში დაუბრუნდება, როდესაც საკლუბო საქმეებს მოაგვარებს. გუშინ ერთ-ერთმა ამერიკულმა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, თითქოს ზაზას აყვანა "ჰიუსტონ როკეტსს" სურს.

თამაში თავიდან ბოლომდე ჩვენი კარნახით წარიმართა. საქართველოს ნაკრებმა, პირველივე მეოთხედში მოიპოვა 14-ქულიანი უპირატესობა, დარჩენილ ნახევარსაათიან მონაკვეთში კი მეთოდურად ზრდიდა ანგარიშში სხვაობას. კენ შილდსმა, ფაქტობრივად, ყველა კალათბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი. მან სასტარტო შემადგენლობაში დააყენა **ცინცაძე, ელისი, მანუჩარ მარკოიშვილი უგრეხელიძე** და **სანიკიძე**. არ უთამაშია მხოლოდ **გიორგი მარკოიშვილს**.

ვიქტორ სანიკიძემ ტრავმა მოიშუშა და წლეულს, პირველად ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში. მიუხედავად შეზღუდული სათამაშო დროისა, მან 12 წუთში 10 ქულა მიითვალა. ნამატჩევს, მწვრთნელებმა სანიკიძესთან ერთად, განსაკუთრებით შეაქეს ნაცვლიშვილი, უგრეხელიძე, ბოისა, ბაბიაშვილი და ტულუში. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვები ცუდად გამოიყურებოდნენ...

მეორე შეხვედრაში, პორტუგალიამ დიდი გაჭირვებით მოუგო ტუნისს - 74:69. დღეს, თბილისის დროით 19 საათზე, მასპინძლებს ვხვდებით. ტურნირის ბოლო მატჩი კი ხვალ, 22 საათზე გვაქვს ტუნისთან.

**კობა ხატისაშვილი**

21-წლამდელთა ნაკრები

# თამაში იუბილარ ტრაბზონთან

თურქული "ტრაბზონის" 40-წლიანი იუბილე დღეს დიდი ზარზეიმით აღინიშნება. სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით, ზეიმი დილიდანვე დაიწყება და "ავნი აკერზე" "ტრაბზონისა" და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მატჩით დასრულდება.

**პეტარ სეგრტმა** თურქებთან სათამაშოდ ოცი ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).**

მცველები: **დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე (ყველა ამერი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), უჩა ლობჟანიძე (დინამო), აკაკი ხუბუტია (შილიუტა, ლიტვა), გიორგი თავბერიძე (სიონი), ამირან სანაია (ზესტაფონი).**

ნახევარმცველები: **ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი (ყველა ზესტაფონი), ბექა ჟღენტი (ტორპედო მ. რუსეთი), გიორგი თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), კახა მახარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი (ორივე დინამო).**

თავდამსხმელები: **ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ორივე ოლიმპი).**

**დავით ცაბაძე**

# დღეს სეზონის სტარტია

დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშება. მეთექვსმეტედფინალი

3

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

# დინამოს რაპიდი შეხვდა



დუშან უპრინი

ნიონში, უეფას შტაბბინაში, გუშინ ჩატარებულმა წილისყრამ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქედ ავსტრიული "რაპიდი" არგუნა.

წილისყრას "დინამოდან" გუნდის უფროსი **გია იმნაძე** ესწრებოდა. მისი დასრულების შემდეგ კი ის ვენის "რაპიდის" წარმომადგენლებს გაესაუბრა. იმნაძესთან დაკავშირება ვერა, მაგრამ "დინამოს" მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძესთან** გასაუბრება კი შევძელით.

*"მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სუსტი მოწინააღმდეგე აღარაა. ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან ძლიერი ანაც სუსტი გუნდი გვერგო მეტოქედ. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, კვლავაც ბოლომდე ვიბრძოლებთ ქართული ფეხბურთის პრესტიჟის დასაცავად"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ბუბა ტყავაძემ.

2



## ჩემპიონთა ლიგა

### მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი

ჰაფნარფიორდური (ისლ.ა)/ბატე (ბელორუსი)-ზაგლებიე (პოლონეთი)/სტიაუა (რუმინეთი)
ტამპერე (ფინეთი)/ლევსკი (ბულგარეთი)-ასტანა (ყაზ.)/რუსენბორგი (ნორვეგია)
სპარტაკი (რუსეთი)-სელტიკი (შოტლანდია)
ვერდერი (გერმანია)-დომჟალე (სლოვენია)/დინამო (ხორვატია)
ვენტსპილსი(ლატვია)/ზალცბურგი (ავსტრია)-პიუნიკი (სომხეთი)/შახტარი (უკრაინა)
აიაქსი (ჰოლანდია)-ჟილინა (სლოვაკეთი)/სლავია(ჩეხეთი)
ვალენსია (ესპანეთი)-დებრეცენი (უნგრეთი)/ელფსბორგი (შვედეთი)
გენკი(ბელგია)/სარაევო (ბოსნია)-დინამო (უკრაინა)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)-ანდერლეხტი (ბელგია)
რეინჯერსი (შოტლანდია)/ზეტა (ჩერნოგორია)-ცრ. ზვეზდა (სერბეთი)-ლევადია (ესტ.)
ტულუზი (საფრანგეთი)-ლივერპული (ინგლისი)
ბენფიკა (პორტუგალია)-კოპენჰაგენი (დანია)/ბეითარი (ისრაელი)
ლაციო (იტალია)-დინამო (რუმინეთი)
სპარტა (ჩეხეთი)-არსენალი (ინგლისი)
ციურიხი (შვეიცარია)-შერიფი (მოლდოვა)/ბეშიქთაში (თურქეთი)
სევილია (ესპანეთი)-აეკ (საბერძნეთი)

*მატჩები 14-15 და 28-29 აგვისტოს გაიმართება*

## უეფას თასი

### მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი

**დინამო (საქართველო)-რაპიდი (ავსტრია)**
ოცელული (რუმინეთი)-ლოკომოტივი (ბულგარეთი)
კლუჟი (რუმინეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი)
რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ზრინისკი (ბოსნია)/პარტიზანი (სერბეთი)
სლავენი (ხორვატია)-გალათასარაი (თურქეთი)
ლეირია (პორტუგალია)-მაკაბი (ნეთანია, ისრაელი)
ჰაიდუკი (ხორვატია)-სამპდორია (იტალია)
ბესა (ალბანეთი)-ლიტექსი (ბულგარეთი)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)-ქაიზერი (თურქეთი)
ატლეტიკო (ესპანეთი)-ვოივოდინა (სერბეთი)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია)-ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
ომონია (კვიპროსი)-ცსკა (ბულგარეთი)
ბაზელი (შვეიცარია)-მატერსბურგი (ავსტრია)
რიდი (ავსტრია)-სიონი (შვეიცარია)
მიკა (სომხეთი)-არტმედია (სლოვაკეთი)
დნიპრო (უკრაინა)-ბელხატოვი (პოლონეთი)
ჰონვედი (უნგრეთი)-ჰამბურგი (გერმანია)
იანგ ბოიზი (შვეიცარია)-ლანსი (საფრანგეთი)
ტობოლი (ყაზახეთი)-გროცლინი (პოლონეთი)
აუსტრია (ავსტრია)-იაბლონეცი (ჩეხეთი)
ზლატე (სლოვაკეთი)-ზენიტი (რუსეთი)
მილიკოსკენი (ფინეთი)-ბლექბერნი (ინგლისი)
დროგედა (ირლანდია)-ჰელსინგბორგი (შვედეთი)
ლიეპაია (ლატვია)-სოლნა (შვედეთი)
ჰელსინკი (ფინეთი)-ოლბორგი (დანია)
ეკრანასი (ლიტვა)-ვოლერენგა (ნორვეგია)
დანფერმლაინი (შოტლანდია)-ჰაკენი (შვედეთი)
ბრანი (ნორვეგია)-სუდუვა (ლიტვა)
ჰაკა (ფინეთი)-მიდტიულანდი (დანია)
დინამო (მინსკი)-ოდენსე (დანია)
კაერენგი (ლუქსემბურგი)-სტანდარდი (ბელგია)
ფრედრიკსტადი (ნორვეგია)-ჰამარბიუ (შვედეთი)

*მატჩები 16 და 30 აგვისტოს გაიმართება*

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ყაზბეგი
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

დინამო. წილისრის შემდეგ

# უპრინი ხვალ რაპიდს ნახავს


დუშან უპრინი უკვე რაპიდზე ფიქრობს

პირველი გვერდიდან

როგორც გავიგეთ, ლიხტენშტაინიდან თბილისისკენ გამომგზავრებულ გუნდს მთავარი მწვრთნელი **დუშან უპრინი** თან არ ახლავს. ამ საკითხით რომ დავინტერესდით, ტყავაძისგან ასეთი პასუხი მივიღეთ:

*"დიახ, მართალია, გუნდი თბილისს მოემგზავრება, მაგრამ დუშან უპრინი "დინამოსთან" ერთად არაა. ის ხვალ ვენაში იქნება, "რაპიდი"-"აუსტრიის" მატჩს დაესწრება, მომავალ მეტოქეს პირადად შეაფასებს. ჩვენ უკვე დავიწყეთ მეტოქეზე ინფორმაციების შეგროვება".*

უეფას თასის მეორე ეტაპამდე წინ ორი კვირაა და დავინტერესდით მანამდე კიდევ ვინმე ხომ არ დაემატება "დინამოს".

*"ჩვენი მიზანი იყო გუნდის დაკომპლექტება სეზონის დაწყებამდე დაგვესრულებინა. ეს ამოცანა შევასრულეთ. ასე რომ, "დინამო" უკვე დაკომპლექტებულია და არავინ დაგვემატება"*, - განმარტა ტყავაძემ.

დღეისათვის "დინამოს" ბაზაზე მხოლოდ ერთია ისეთი ახალი ფეხბურთელი, რომელიც გუნდში ჯერ არ ჩარიცხულა. ტყავაძემ გადაჭრით მასზე ვერაფერი გვითხრა, ამ დღეებში გაირკვევა მისი ბედიო.




მეტოქე. რაპიდი

# ვისი ტიტულები აჯობებს

| დოსიე |
| --- |
| სრული სახელი: **SK RAPID WIEN** |
| მეტსახელი: **DIE GRUEN-WEISSEN (თეთრ-მწვანეები)** |
| დაარსდა: **1898** |
| სტადიონი: **გერჰარდ ჰანაპი შტადიუმ, 17 500** |
| პრეზიდენტი: **რუდოლფ ედლინგერი** |
| მწვრთნელი: **პეტერ პაკულტი** |
| 2006-07: **ავსტრიის ბუნდესლიგა, მე-4 ადგილი** |

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს თბილისის "დინამოს", მეტოქედ ავსტრიის ასევე ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, ვენის "რაპიდი" ერგო. "რაპიდმა" შარშანდელი სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა და უეფას თასზე ინტერტოტოდან (ყაზანის "რუბინი" გამოთიშა). "რაპიდს", "დინამოსი" არ იყოს, ფესვები მუშურ-გლეხური აქვს, 1898 წელს დაარსებული კლუბის სახელი ასე ითარგმნებოდა: "მუშათა პირველი კლუბი ვენაში". მაშინდელი ფერები წითელი და ლურჯი იყო (თეთრ-მწვანეები ახლაც საგარეო მატჩებში იყენებენ ფერთა ისტორიულ გამას). მსოფლიო ომთა შორის პერიოდში ავსტრია, საფეხბურთო თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო, ხოლო "რაპიდი" ყველაზე ძლიერი კლუბი. მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა ავსტრია გერმანიას მიუერთეს "რაპიდმა" გერმანიის ჩემპიონის ტიტულიც (1941) მოიგო. მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან მოდის ერთი ძალზე ლამაზი ტრადიცია - Rapidviertelstunde, რაც მატჩის ბოლო 15 წუთში ფანთა მიერ რიტმულ ტაშისკვრაში გამოიხატება, თან არა აქვს მნიშვნელობა რა ანგარიშია მოედანზე და სად თამაშობს "რაპიდი", შინ თუ გარეთ. ასე რომ ამ "რიტუალს" თბილისშიც ვიხილავთ.

"რაპიდი" ავსტრიის ყველაზე პოპულარული კლუბია, თუ სხვა გუნდები ფინანსურად ჯობნიან მას, "რაპიდი" აქცენტს ტალანტების გაზრდაზე აკეთებს. კლუბი ავსტრიის 31-გზის ჩემპიონია. (აქ არ ითვლება რეფორმამდელი 16-გზის ჩემპიონობა). ვენელებს ავსტრიის თასი 14-ჯერ მოუპოვებიათ (გერმანიის თასი 1938 წ.). 2006 წლიდან გუნდს 80-90-იანი წლების ცნობილი ავსტრიელი ფეხბურთელი **პეტერ პაკულტი** (ნაკრებში 24 მატჩი, 1 გოლი) წვრთნის. წლეულს გამოცდილი (32 წლის) ხორვატი მცველი **მარიო ტოკიჩი** "რაპიდის" წევრი გახდა. შეგახსენებთ, რომ "შტურმის" მცველ **გიორგი შაშიაშვილს** ქართველ ტოკიჩს უწოდებენ. "რაპიდს" კიდევ რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს: ნახევარმცველები **მარკუს ჰეიკინენი** (ფინეთი), **შტეფენ ჰოფმანი** (გერმანია), **ბრანკო ბოშკოვიჩი** (ჩერნოგორია), **მარიო ბაზინა** (ხორვატია), ფორვარდები **ფაბიანო** (ბრაზილია) და **მატე ბილიჩი** (ხორვატია). გუნდის ვეტერან ავსტრიელ მცველ **მარტინ ჰიდენს** 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უთამაშია. ის ახლაც ნაკრების წევრია (40 მატჩი და 1 გოლი). ნაკრებშია გოლკიპერი **ჰელგე პაიერიც**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# დინამო რაპიდისთვის ამოსახსნელი ამოცანაა

## გასვლა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ბრძოლით

წილისყრის დასრულებიდან რამდენიმე საათში ავსტრიულ პრესაში პირველი კომენტარები გამოჩნდა. "რაპიდის" მესვეურები "დინამოს" აფასებენ და მომავალ დაპირისპირებაზე საუბრობენ.

"რაპიდისთვის იოლად ამოსახსნელი ამოცანა", - ამგვარად დაასათაურა "კურიერმა" ამ თემისადმი მიძღვნილი მასალა. იქაური ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ "რაპიდს" არ უნდა გაუჭირდეს "დინამოს" ბარიერის გადალახვა, თუმცა გუნდის მესვეურებს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ:

*"თუ კარგად დავაკვირდებით, სუსტი მოწინააღმდეგე ნამვილად არ გვყავს. თბილისის "დინამო" მდიდარი წარსულის მქონე კლუბია. 1925 წელს დაარსებულმა კლუბმა 1981 წელს თასების თასი მოიპოვა, 1964 და 1978 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, ხოლო 1976 და 1979 წლებში ქვეყნის თასიც მოიგო. "დინამოს" ევროპაში ახლაც კარგი სახელი აქვს, ეს ცნობილი კლუბია და ქართველებთან იოლი მატჩები ნამდვილად არ გველის.*

*უეფას თასის მომდევნო ეტაპზე იოლი მეტოქე უკვე აღარაა. ასე რომ, სერიოზულად უნდა შევაფასოთ მეტოქე, რომელიც ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია და თასი 8-ჯერ აქვს მოპოვებული. ამ ბარიერის გადალახვა ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება, მაგრამ იოლი არაა და საამისოდ ბრძოლა დაგვჭირდება"*, - აცხადებს პრესასთან საუბარში "რაპიდის სპორტული დირექტორი **ალფრედ ჰორტნაგლი**.



პეტერ პაკულტი

იმავე აზრისაა მწვრთნელი **პეტერ პაკულტი:**

*"თბილისის "დინამოს" ზურგს დიდი ტრადიციები უმაგრებს. ამ გუნდს ევროპაში დღესაც საკმაო ავტორიტეტი გააჩნია. ჩვენ კვირას დერბი გვაქვს "აუსტრიასთან" და ამ მატჩის შემდეგ უკვე მთლიანად "დინამოზე" გადავერთვებით".*

*ვენის "რაპიდს" თბილისურ მატჩში ნამდვილი ჯოჯოხეთი ელის, რადგან ქართველთა მთავარი არენა "ბორის პაიჭაძე" 78 ათასს გულშემატკივარს იტევს. "დინამომ" ბოლო ხმაურიანი წარმატება 2004 წლის იანვარში მოიპოვა, როცა მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირი მოიგო. იქ საბჭოთა კავშირის ყოფილი 15 რესპუბლიკის ჩემპიონი ასპარეზობდა.*

*რამდენიმე კვირის წინათ თბილისის "დინამოდან" ავსტრიულ "შტურმში" ეროვნული ნაკრების მცველი გიორგი შაშიაშვილი გადავიდა. ამჟამად "დინამოში" ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ნედ ზელიჩია, რომელიც ადრე ავსტრალიის ნაკრებსა და დორტმუნდის "ბორუსიაში" ასპარეზობდა".* "რაპიდის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 16 აგვისტოს, "დინამო"-"რაპიდის" მატჩი, 18 საათზე დაიწყება, ხოლო საპასუხო შეხვედრა 30 აგვისტოს, ვენაში, "გერჰარდ ჰანაპი შტადიონზე", რომელიც 17 500 გულშემატკივარს იტევს, თბილისის დროით 22:30 სთ-ზე დაიწყება.

ათგუნდა ავსტრიულ ბუნდესლიგაში ვენის "რაპიდი" 3 ტურის შემდეგ, 6 ქულით მე-5 ადგილზეა. "რაპიდმა" სასტარტო ტურში " "ვაკერი" 3:1 დაამარცხა, მერე "მატერსბურგთან" სტუმრად 2:3 წააგო და ბოლოს, "ალტას" 1:0 სძლია.

**დავით ცაბაძე**



დავით დიღმელაშვილს მეორე ეტაპის გადალახვა შესაძლებლად მიაჩნია

ინტერვიუ დავით დიღმელაშვილთან

# დაუძლეველი არც მეორე ბარიერია

"დინამოს" კაპიტან დავით დიღმელაშვილს "ვადუცთან" თამაშის მერე შევეხმიანეთ, მაშინ, როცა "დინამოს" მომავალი მეტოქე არ იყო გარკვეული და განვლილ მატჩზე გავესაუბრეთ. დინამოელები უეფას თასის მეორე ეტაპის წილიყრას უნდა დასწრებოდნენ და ამიტომაც თბილისში მხოლოდ გუშინ ღამე გამოფრინდნენ.

- ლიხტენშტაინში გამართულ შეხვედრაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- იოლი თამაში ნამდვილად არ გვქონია. ეს თავიდანვე ვიცოდით და საამისოდ შესაბამისადაც მოვემზადეთ. პირველი მატჩი მოგებული რომ გვქონდა ფსიქოლოგიურად დაძაბული არ ვიყავით. ერთი ეგაა, გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც შევასრულეთ - მომდევნო ეტაპზე გავედით.

**- არა და საგოლე მომენტები, როგორც ირკვევა, გქონიათ...**

- დიახ, ხუთი საგოლე მოენტი გვქონდა. სამწუხაროა, გოლი რომ ვერ გავიტანეთ.

**- დუშან უპრინმა მატჩის დაწყებამდე რა დავალება მოგცათ?**

- გვითხრა, დაცვაში არ ჩავმჯდარიყავით და ყველანაირად გვეცადა მოწინააღმდეგისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს. ამავე დროს, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც არანაკლებ უნდა გვეზრუნა.

**- შესვენებისას რაღა გითხრათ მწვრთნელმა?**

- ბურთი გაგვეგორებინა, მეტად შეგვეწუხებინა მეტოქე. მასპინძელთა მეკარემ ითამაშა კარგად და სამჯერ ძალიან რთული ბურთი მოიგერია.

**- მომდევნო ეტაპზე მეტოქედ ვის ელით?**

- მეორე ეტაპზე სუსტი გუნდი არ არსებობს. აქამდე ჩვენი ამოცანა იყო პირველი ეტაპი გადაგველახა. ახლა კი უკვე მეორე ბარიერის გადალახვისთვის ვიბრძოლებთ.

**დავით ცაბაძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ტორპედოს დააფინანსებენ?

ახალი სეზონის დაწყებამდე, ქუთაისის "ტორპედოს" ფინანსური გარანტიები პროფლიგაში წარდგენილი არ ჰქონდა. ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი "ტორპედოს" დაქვეითება ემუქრებოდა. თუმცა ახლა, როცა ამ მასალას კითხულობთ, შესაძლოა ქუთაისური კლუბის ფინანსური გარანტიები უკვე პროფლიგაშიც იდოს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ პოზიტიურმა ინფორმაციამ გაჟონა. გუნდის უფროს **პაპუნა მელაძესთან** დაკავშირება ვერაფრით შევძელით. თუმცა მასთან დაახლოებულმა პირმა გვითხრა, რომ საქმე კარგადაა და "ტორპედო" გარანტიებსაც წარადგენს და ახალ სეზონში კვლავ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებსო.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად პროფლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანს** შევეხმიანეთ:

*"გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. "ტორპედო" დიდი ტრადიციების კლუბია და იმედი გვაქვს, ფინანსური გარანტიების წარდგენასაც შეძლებს".*

ამის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით.

*"ტორპედოს" საკითხს ხვალ, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი განიხილავს. იმედია, ქუთაისურ კლუბს დაფინანსების წყარო გამოუჩნდება. ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით...*

*ფედერაციაში დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ "ტორპედოს" დააფინანსებენ. იმ პირის ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ... ყველაფერი აღმასკომის სხდომაზე გაცხადდება",* - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

# ბორჯომი ბათუმიდან გაძლიერდა

"ბორჯომი" სეზონის დაწყებამდე სერიოზულად გაძლიერდა. "ბათუმში" წასული ნახევარმცველები, **გია ნერგაძე** და **შოთა ბაბუნაშვილი** ზღვისპირეთიდან წამოვიდნენ და "ბორჯომში" მივიდნენ.

გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ვლადიმერ ხაჩიძის** ხელში სხვა ძლიერი შემსრულებლებიც აღმოჩნდნენ - თბილისის "დინამოს" მცველი **ლევან აკობია**, ბოლნისის "სიონიდან" **ლაშა ჭელიძე**, საჩხერის "ჩიხურიდან" კი **ლევან მერებაშვილი**.

**მერაბ მამულაშვილი**



გია ნერგაძე

ბათუმი

# გაძლიერების მოლოდინში

ახალ სეზონს "ბათუმი" მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შემადგენლობით ხვდება. მართალია, ეს კონტინგენტი უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ გუნდის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ბოლო მომენტში კლუბის მესვეურებმა პროფლიგაში გარანტიების წარდგენა შეძლეს და საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ბათუმი" მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში გაატარებს. პირველ ოფიციალურ მატჩს აჭარელები ხვალ ჩაატარებენ. დავით ყიფიანის თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრაში ისინი ქუთაისის "უნივერსიტეტს" უმასპინძლებენ.

*"ყველაფერი ნორმალურადაა, შევეცდებით, ფონს ადგილობრივი კადრებით გავიდეთ. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას კიდევ მოვასწრებთ. მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოს ბოლოს იხურება და გვსურს, თბილისის "დინამოს" კუთვნილი რამდენიმე ფეხბურთელი ვინათხოვროთ. ასეთ შემთხვევაში, გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება",* - ამბობს ბათუმელთა მთავარი მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# დაუმარცხებელი თურქული ტურნე

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" 2 აგვისტოს რიგით მესამე და ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ფეროელთა მეტოქე "ანთალიასფორი" იყო. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. "ზესტაფონის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მატჩის უდიდესმა ნაწილმა ქართული კლუბის უპირატესობით ჩაიარა. მე-17 წუთზე ანგარიში **გაგა ჩხეტიანმა** გახსნა.

მეორე ტაიმში **თემურ მახარაძემ** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი შეცვალა, რის შემდეგაც თამაშის სადავეები ნელ-ნელა მეტოქემ იგდო ხელთ. თურქებმა თამაშის გადასარჩენად ყველაფერი იღონეს და ანგარიში შეხვედრის მიწურულს გაათანაბრეს.

ზესტაფონი: **ჭანტურია, ს. თოდუა (46. ქორიძე), შ. ლონლაძე, საჯაია, ვიეირა (46. დაუშვილი), კ. ჩხეტიანი (46. ხიდეშელი), რ. ონიანი, კესანი, ნ. კვასხვაძე (46. ბენაშვილი), გ. ჩხეტიანი (46. იონანიძე), ფიფია (46. ჯიშკარიანი).**

"ზესტაფონი" საქართველოში დღეს ბრუნდება. შეგახსენებთ, პირველ ორ თურქულ ამხანაგურ მატჩში მახარაძის გუნდმა ჯერ ირანულ "სანათ ნაფთისთან" 1:1 ითამაშა, შემდეგ კი ტაჯიკურ "რეგარ-ტადაზს" 2:0 სძლია. საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალისგან "ზესტაფონი" თავისუფალია, 10 აგვისტოს, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში კი "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

# დღეს სეზონის სტარტია

ქართული სეზონი დავით ყიფიანის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებით იწყება. ბუნებრივია, ერთ კვირაში გასამართი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური გულშემატკივართა გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ არც დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრები უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ.

შეგახსენებთ, წყვილებში გამარჯვებულები თასის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ. ევროთასების მონაწილე ოთხი ქართული კლუბი – "ოლიმპი", "ამერი", "დინამო" და "ზესტაფონი" ჯგუფურ რაუნდში ავტომატურად არიან დაშვებულნი. როგორც ხედავთ, ზოგ წყვილში გამარჯვებულის პროგნოზირება იოლია, ზოგან კი უშეღავათო ბრძოლებია მოსალოდნელი. განმეორებითი მატჩები 27 და 28 აგვისტოს გაიმართება.

### სიონი–მადაროელი

4 აგვისტო. ბოლნისი. თ. სტეფანია. 17:30
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია

ჭიათურის "მაღაროელს" მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავს და შესაბამისად, ურიგო გუნდი ნამდვილად არ ჰყავს, მაგრამ თუნდაც შესუსტებული "სიონი" იმერლებთან ჭიდილში აშკარა ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ.

### ვიტ ჯორჯია–მეშაქრე

4 აგვისტო. მცხეთა. არმაზი. 17:30
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია

უკრაინამოვლილმა "ვიტ ჯორჯიამ"ეს ბარიერი წესით, უპრობლემოდ უნდა გადალახოს. თუმცა ვეტერინარებს ხელწამოსაკრავი მეტოქე არ ჰყავთ. აგარელები ახალ სეზონშიც უმაღლესში აღზევებისთვის იბრძოლებენ. შეგახსენებთ, შარშან თასის ჯგუფურ ეტაპზე ორივე გუნდმა ითამაშა და ორივე ჯგუფში ჩარჩა.

### ლოკომოტივი–ოლიმპიკი

4 აგვისტო. თბილისი. მ. მესხი. 17:30
არბიტრი: თ. გვანცელაძე
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, თ. ხუჭუა

წინა სეზონში "ლოკომოტივმა" ბრძოლა მეთექვსმეტედფინალში შეწყვიტა და ბუნებრივია, მის წევრებს ამ შედეგის გამეორება არ სურთ. ორივე მეტოქეს ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს, ფავორიტი "ლოკომოტივია", მაგრამ რკინიგზელები ჭაბუკი ოლიმპიკელებისგან მედგარ წინააღმდეგობას უნდა ელოდონ.

### დილა–ზოოვეტი

4 აგვისტო. გორი. თ. ბურჯანაძე. 17:30
არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: ი. უკლება, ა. კოკაია

გორელები პირველ ლიგაში კი დაქვეითდნენ, მაგრამ წესით, ახალ სეზონში შარშანდელზე გაცილებით უკეთესი გუნდი უნდა ჰყავდეთ. "დილას" წილისყრაშიც გაუმართლა, შიდაქართლელებისთვის ჯგუფში ასპარეზობა კარგი გამოცდილება უნდა იყოს.

### მესხეთი–სქური

4 აგვისტო. ახალციხე. ცენტრალური. 17:30
არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი
ასისტენტები: ს. სპიცინი, კ. გუდურაშვილი

წესით, ჯგუფში უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მესხეთმაც" უნდა შეაბიჯოს. ახალციხელებს უმაღლესი მიზნები არ დაუსახავთ, მაგრამ უძლიერესთა შორის დარჩენა და ჯგუფურ ეტაპზე შეღწევა მათ ძალებს ნამდვილად არ უნდა აღემატებოდეს.

### მგლები–სამტრედია

4 აგვისტო. ზუგდიდი. ცენტრალური. 17:30
არბიტრი: გ. დოგრაშვილი
ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, კ. გაბრიაძე

პირველი შეხვედრა სამტრედიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ მეტოქეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ზუგდიდელები და სამტრედიელები ერთმანეთს ჯერ სამეგრელოში დაუპირისპირდებიან, შემდეგ კი იმერეთში. ერთი შეხედვით, მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი "მგლებს" აქვს, მაგრამ ალბათ, "სამტრედიაც" ბოლომდე იბრძოლებს.

### სპარტაკი ცხ.– გაგრა

5 აგვისტო. გორი. თ. ბურჯანაძე. 17:30
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი
ასისტენტები: დ. კურტანიძე, ა. კაკაბაძე

ვფიქრობთ, ეს მეთექვსმეტედფინალის ცენტრალური ჯახია. განახლებული ცხინვალის "სპარტაკის" საქმეში ხილვა საინტერესო უნდა იყოს, ტრადიციულად, ამბიციური იქნება "გაგრაც". ორივე გუნდი ხომ ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ახალი თაობის გამორჩეული ქართველი მწვრთნელების, **კობა ჟორჟიკაშვილისა** და **გია გეგუჩაძის** ჭიდილი.

### მერანი თბ.–ჩიხურა

5 აგვისტო. თბილისი. 6. დინამო. 17:30
არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: ო. მოლოდინაშვილი, ზ. ბერულავა

გასულ სეზონში "მერანი" და "ჩიხურა" ერთმანეთს ტოლსწორად ებრძოდნენ, მაგრამ ახლა სხვაგვარი ვითარებაა. თბილისელები გაძლიერებაზე ზრუნავენ, საჩხერულ კლუბს კი ძლივს უდგას სული. "ჩიხურამ" ეს ბარიერი რომ გადალახოს, თამამად შეგვიძლია, ამას სენსაცია ვუწოდოთ.

### კახეთი–დუშეთი

5 აგვისტო. თელავი. გ. ჩოხელი. 17:30
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: ბ. ქუხილავა, ბ. ჭიჭინაძე

წილისყრის შედეგს არც თელაველები უნდა უჩიოდნენ. "კახეთი" შარშანდელზე უკეთესი გუნდი ალბათ, არ იქნება, მაგრამ ამ წყვილის ფავორიტი კი ნამდვილად არის.

### ბათუმი–უნივერსიტეტი

5 აგვისტო. ბათუმი. ადელი. 17:30
არბიტრი: ჯ. ბუიშვილი
ასისტენტები: ზ. ერქვანია, ა. ბერაძე

ფინანსურად შეჭირვებულ "ბათუმს" მეტოქედ პირველ ლიგაში აღზევებული ქუთაისის "უნივერსიტეტი" ერგო. ამ ეტაპის გადალახვის მეტი შანსი წესით, აჭარულ კლუბს აქვს, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, "ბათუმისთვის" ბევრი ვერაფერი შეღავათი იქნება. იმედია, უახლოეს პერიოდში ბათუმელებს დაფინანსება გაეზრდებათ და ახალ სეზონში ღირსეულად იასპარეზებენ.

### ბორჯომი–მერანი (მარტვილი)

5 აგვისტო. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 17:30
არბიტრი: ო. ხეცაძე
ასისტენტები: ე. ნარმანია, ზ. ასკაროღლი

**ვლადიმერ ხაჩიძეს** კვლავ საშუალო დონის, მაგრამ ბრძოლისუნარიანი გუნდი ეყოლება. ვფიქრობთ, ეს ეტაპი ბორჯომელებმა იოლად უნდა გადალახონ.

### ტორპედო–კოლხეთი

გადაიდო

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ დავით მუჯირთან

# პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი არარუსი კაპიტანი დარჩა

## 2 მილიონად შეფასებული მუჯირი წასვლაზე დაფიქრდა



**დავით მუჯირი, შესაძლოა, სამარის "კრილია სოვეტოვიდან" წავიდეს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დიდი ხანია სამარელთა მთავარი მწვრთნელის სერგეი ობორინისგან უნდობლობას გრძნობს და "კრილიას" ხელმძღვანელობასთან აპირებს გაარკვიოს, რატომ შეიცვალა ვითარება უარესობისკენ.**

**"ლელო" "კრილია სოვეტოვის" აწ უკვე ყოფილ კაპიტან დავით მუჯირს ესაუბრა.**

**- დათო, ინფორმაცია გავრცელდა, რომ შემდეგ ტურში ავადმყოფობის გამო არ ითამაშებ. მართლა გაციებული ხარ, თუ ესეც მწვრთნელთან კონფლიქტის შედეგია?**

- მართლა გაციებული ვარ.

**- მწვრთნელისგან უნდობლობის გამო კაპიტნობაზე უარი თქვი. რატომ აგითვალწუნა ობორინმა?**

- ყველა მწვთნელს საკუთარი შეხედულება გააჩნია და რაც მთავარია, შედეგზე ისაა პასუხისმგებელი და არა მოთამაშე. ეს მე მშვენივრად მესმის და რატომ არ შეიძლება, მწვრთნელს მე არ მოვწონდე, თუმცა ვგრძნობ, რომ მიზეზი წმინდა სპორტული არაა და კაპიტნობიდანაც მაიძულა გადავმდგარიყავი.

**- როგორ გაიძულა?**

- თავისი დამოკიდებულებით. მე გადაწყვეტილება ჯერ ბიჭებს ვუთხარი. კაპიტანი მწვრთნელის მარჯვენა ხელი უნდა იყოს, მისი უსიტყვოდ უნდა სჯეროდეს, ერთმანეთში ასპროცენტიანი ურთიერთგაგება უნდა ჰქონდეთ. რაკი მე ვერ ვიგრძენი ნდობა, კაპიტნობაზე უარი ვთქვი. კაპიტნის თამაში ძირითადში საეჭვო არ უნდა იყოს. ბიჭებს ბოდიში მოვუხადე, მათგან ვგრძნობდი ნდობას და მერიდებოდა, რომ ამის მიუხედავად ეს ნაბიჯი გადავდგი, კაპიტნად ხომ მათ ამირჩიეს. შოკში იყვნენ ეს რომ გაიგეს. ხმამაღლა ვერავინ ვერაფერს ამბობს და არც გავამტყუნებ. ისე კი მოდიან და მათგან თანადგომას ვგრძნობ, ყველა ჩემკენაა.

მერე იგივე ობორინს პირადად ვუთხარი.

**- თავად რა გითხრა?**

- რა უნდა ეთქვა. გაგებით მოვეკიდები შენს აზრს, ღირსეული კაპიტანი ხარო. ეტყობა, მას არ შეუძლია გულწრფელად საუბარი. ჩემს გადადგომაზე კომენტარი რომ სთხოვეს, კაპიტანი სხვა თვისებებს უნდა ფლობდესო უპასუხა. ილაპარაკა ის, რაც თავად აწყობდა და სიმართლე დამალა. ისეთი სურათი დახატა, თითქოს პასუხისმგებლობის თავზე აღება არ შემიძლია. ეტყობა, განტევების ვაცი სჭირდებოდა და ბოლოდროინდელი წარუმატებლობა მე უნდა გადმომაბრალოს. მე კი მიმაჩნია, რომ ობორინი ჩემნაირ კაპიტანს არ იმსახურებს. მისი ბოლო კომენტარების შემდეგ ამ დასკვნამდე მივედი.

**- არც შენი ინტერვიუები იყო შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯი. სახალხოდ ისე გაჯორე, მწვრთნელს ეწყინებოდა, ისიც ადამიანია.**

- მე არაფერი მომიტყუებია, ეს ერთი და მეორე - ყოველთვის კორექტული ვიყავი.

**- თუმცა შენი კრიტიკა ისე გამოჩნდა, თითქოს "კრილია სოვეტოვიდან" გსურს წასვლა.**

- მე ჯერ კიდევ წელიწადნახევარი დამრჩა კონტრაქტის დასრულებამდე. თუმცა უკვე ველარ ვამბობ, მიღირს თუ არა დარჩენა. კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე, მსურს, მათგან მაინც გავიგო, რა უნდათ, მწვრთნელის აზრზე არიან თუ არა. ობორინის საქციელს ასე არ დავტოვებ.

**- "სატურნში" გაჯიევი დანიშნეს, კაცი, ვისი ნდობითაც რუსეთში გამოჩნდი. ის ახლა გუნდისთვის ცენტრალურ ნახევარმცველს ეძებდა და შენ არ გაგიხსენა?**

- პირადად არ დამკავშირებია და მეეჭვება, "კრილიამ" მასთან გამიშვას. გაჯიევი სამარიდან სკანდალით წავიდა და რომ მოინდომოს ჩემი წაყვანა, დიდ ფულს მოსთხოვენ. ამიტომაც მსურს ხელმძღვანელობასთან საუბარი. მაინტერესებს, მათი დამოკიდებულება შეიცვალა თუ მხოლოდ ობორინს არ მოსწონს ჩემი თამაში.

**- შენი აზრით, შეიცვალა?**

- არა მგონია. სტატისტიკას თუ ავიღებთ, ყველაზე სასარგებლო მოთამაშე ვარ, ყველაზე მეტი გავიტანე და "კრილიას" ბომბარდირი ვარ. ამ დროს, წლეულს ძალიან ცოტა ვითამაშე. ბოლოს მხოლოდ მოსკოვის ცსკა-ს მოვუგეთ, ერთადერთი გოლი გავიტანე და ტურის სიმბოლურში მოვხვდი. ამის შემდეგ მწვრთნელის დამოკიდებულება გაუგებარია. მიზეზებზე ვფიქრობ და არ ვიცი, რა არის ყველაფრის თავი და თავი. საერთოდ, პრემიერლიგაში ორად-ორი არარუსი კაპიტანი ვიყავით, მე სამარაში და ტიმოშჩუკი "ზენიტში". ახლა აქაც კაპინად რუსი დანიშნეს, ეტყობა, ეს უნდოდათ კიდეც...

**- "შახტიორი" უკრაინა-საქართველოს მატჩზე გაკვირდებოდა. მას შემდეგ ინტერესს აღარ იჩენს?**

- ახლა არაფერი მსმენია. შარშან რამდენიმე წინადადება იყო და არ გამყიდეს. ახლა კი იმხელა თანხას ჩემში კი არა, მთელ "კრილიაში" არ გადაიხდიან.

**- ტრანსფერმარკტში შენს სატრანსფერო თანხად 2,360.000 ევრო წერია.**

- მაშინ რუსეთის წამყვანი კლუბები მიწვევდნენ და 2 მილიონ ევროზე მეტი მოსთხოვეს.

**- ამ კლუბების სახელს არ გვეტყვი?**

- წამყვანი კლუბები რუსეთში ცსკა, "სპარტაკი", "ზენიტი" და "ლოკომოტივია". თუ არ შეიცვალა დამოკიდებულება, მე წასვლაზე დაველაპარაკები, გაერკვნენ ჩემს სატრანსფერო ფასში.

**მერაბ მამულაშვილი**



კალაძე და ასათიანი ერთმანეთს მესამე ადგილს შეეცილებიან

ოთხთა ტურნირი მოსკოვში

# ასათიანმა თავი ვერ გამოიჩინა

მოსკოვში რუსული რკინიგზის დაარსების 170 წლისთავს საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო ტურნირი მიუძღვნეს, რუსეთის დედაქალაქში სათამაშოდ იტალიური "მილანი", ჰოლანდიური "ეინდჰოვენი" და ესპანური "რეალი" ჩავიდნენ. ისინი "რკინიგზის" თასზე" ადგილობრივ "ლოკომოტივთან" ერთად მონაწილეობენ. გუშინ ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. **კახა კალაძის** "მილანი" "ეინდჰოვენს" შეხვდა, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა , პენალტების სერიაში კი ჰოლანდიელები უკეთ გაისარჯნენ და ფინალში გავიდნენ. კახა კალაძემ შეუცვლელად ითამაშა, მას პენალტების სერიაში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე მატჩში **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივი" "რეალს" დაუპირისპირდა და მალევე 2:0 დაწინაურდა, მეორე ტაიმში კი რუსებმა უმალ გაანიავეს ორბურთიანი უპირატესობა. ყველაფერი 52-ე წუთზე **გუტის** დარტყმით დაიწყო, ბურთი ასათიანს მოხვდა და რიკოშეტით კარში შევარდა, შეხვედრის ბოლომდე "რეალმა" ხუთი გოლი გაიტანა, 5:2 მოიგო და ფინალში გავიდა. მალხაზმა დაცვის ცენტრში ითამაშა. ფინალში მადრიდის "რეალი" "ეინდჰოვენს" შეხვდება, მანამდე კი მესამე ადგილისთვის "ლოკომოტივი" "მილანს" დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები უეფას თასზე

# ყველა გავარდა, კანკავა და ხიზანიშვილი ახლა იწყებენ

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უცხო ქვეყნის კლუბებში არაერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. დავიწყოთ მწვრთნელით - **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" წარმატებით დაძლია პირველი ეტაპი, კვიპროსელებმა საპასუხო მატჩშიც 1:0 დაამარცხეს მაკედონიური "ვარდარი". სკოპიელთა კარში ბურთი მეორე ტაიმში **ზლოგარმა** გაიტანა. მატჩის შემდეგ კუნძულელთა ქართველი თავკაცი საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო: "დღეს ჩვენ უკეთესი გუნდი დავამარცხეთ". "ანორთოსის" შემდეგი მეტოქე რუმინული "კლუჟია".



თემურ ქეცბაია

**რომან გოგინაშვილის** ბრესტის "დინამო" ლატვიურმა "მეტალურგსმა" დატოვა უეფას თასის მიღმა. ბელარუსებმა სტუმრად 1:1 ითამაშეს, თუმცა საპასუხო მატჩში შინ 1:2 დამარცხდნენ. რომანი 53-ე წუთზე მცველ **შჩერბოს** ნაცვლად შემოიყვანეს, როცა ანგარიში უკვე 1:2 იყო.

**გიორგი ადამიას** "ნეფთჩი" ბრძოლიდან ავსტრიულმა "რიდმა" გამოთიშა, ბაქოში აზერბაიჯანელებმა 2:1 მოიგეს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან პირველ მატჩში 1:3 ჰქონდათ წაგებული. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა. მასპინძლებმა ერთი გოლი ადამიას პასით გაიტანეს და 2:0 დაწინაურდნენ. **სუბაშიჩის** შეცვლის შემდეგ ქართველმა ლეგიონერმა თავდასხმაში ითამაშა.

სტუმრად გატანილი ნაკლები ბურთის გამო გამოეთიშა ბრძოლას **მამუკა ლომიძის** "ზიმბრუ". მოლდოველები საპასუხო მატჩში "არტმედიას" შინ 2:2 ეთამაშნენ, სტუმრად კი მატჩი 1:1 დასრულდა. საპასუხო შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთზე ნაკლები რჩებოდა, "ზიმბრუ" 2:0-ს იგებდა, თუმცა ზეიმი ნაჩქარევი გამოდგა - სლოვაკებმა ორი გოლი გაიტანეს და ბრძოლასაც ისინი აგრძელებენ. ლომიძეს არ უთამაშია. გავარდა რიგის "სკონტოც", რომელიც მინსკში "დინამოსთან" 0:2 დამარცხდა. **ზაალ ელიავა** განაცხადში არ ყოფილა, **დავით გამეზარდაშვილმა** კი პირველი ტაიმი ითამაშა. სხვათა შორის, ორივე გაშვებული გოლი მეორე ტაიმში ქართველის შემცვლელის **გაილუსის** სინდისზეა. მინსკის "დინამოს" ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი ექსზესტაფონელი **სერგეი ნუდნია**.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება ბრძოლაში **ჯაბა კანკავას** "დნიპრო", მისი მეტოქე "ამერის" დამმარცხებელი პოლონური "ბელხატოვი" იქნება. **ზურა ხიზანიშვილის** "ბლექბერნი" ფინურ "პალო-47-ს" შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვალერი აბრამიძე

# აბრამიძე ისევ ანჟიში?

აზერბაიჯანის საუკეთესო ლეგიონერად დასახელებულ **ვალერი აბრამიძეს** მახაჩყალის "ანჟიში" გადასვლის უფლება არ მისცეს. თავად გვითხრა, რომ გუნდიდან სულ სხვა მიზეზით წამოვიდა და დაღესტანში შესაძლოა, მაინც დარჩეს.

*"მახაჩყალელებთან მოლაპარაკება ჯერ საბოლოოდ არ ჩაშლილა. უბრალოდ, ახლა პირობებზე შეუთანხმებლობის გამო წამოვედი. მართალია, რუსულ პრესაში ეწერა, თითქოს, "ანჟის" ტრანსფერები აუკრძალეს და ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო, მაგრამ პრობლემა არ შეიქმნება, "ანჟის" აკრძალვას მოუხსნიან. მთავარი ისაა, რომ ჩვენ პირობებზე ვერ შევთანხმდით. ასევე იყო მიშა აშვეთიაც და ისიც წამოვიდა. ეს არ ნიშნავს, რომ "ანჟიზე" საუბარი დავასრულე. მოლაპარაკება კიდევ გრძელდება და დაღესტნელების საბოლოო პასუხს ველოდები"* - გვითხრა გუშინ აბრამიძემ.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი "ხაზარში" დაბრუნებას გამორიცხავს: *"აზერბაიჯანის გახსენებაც არ მინდა. იქ ისეთები გამიკეთეს, როგორ უნდა დავბრუნდე? ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა და აზერბაიჯანის ფედერაციაში ყალბი, ორწლიანი მიიტანეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თურმე ხელფასი 220 მანათი მქონია. ამას ხომ სულელიც არ დაიჯერებს. ჩემს პრობლემაზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის მოთამაშეთა პროფკავშირში რომ ვისაუბრე, სიცილით მოკვდნენ და დახმარებას შემპირდნენ. მითხრეს "ხაზარი" ფულს კიდევ ითხოვს, მაგრამ ამ საკითხს მოვუვლითო."*

# იმედაშვილი ზაკარპატიეში არ წასულა

კიევის "დინამოს" ქართველმა მცველმა **კახა ალადაშვილმა** პირველი ვარჯიში ჩაატარა "მოსკვაში". კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა ქართველისადმი ინტერესი, თუმცა აღნიშნა, რომ 23 წლის მცველი გასინჯვაზეა.

სხვათა შორის, ინფორმაციაში მითითებულია, რომ ალადაშვილმა ყოფილი თანაგუნდელების **ოთარ მარცვალაძისა და დათო იმედაშვილისგან** განსხვავებით, უჟგოროდის "ზაკარპატიეში" გადასვლა არ ისურვაო.

როგორც გავარკვიეთ, "ზაკარპატიეში" არც იმედაშვილი გადასულა და გუშინ კიევის "დინამო 2-ს" სიმფეროპოლში ახლდა. სხვათ შორის, დათოს კიეველთა დუბლების ნაცვლად, რუსთავის "ოლიმპში" დროებით გადასვლა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# ტევესი: 2+3 წელი

## ჯურაბჩიანს 10 მილიონი, ვესტ ჰემს 2 მილიონი, ხოლო ფეხბურთელს 22 მილიონი შეხვდება...

**კარლოს ტევესის** "მანჩესტერში" ტრანსფერს წინ ალარაფერი უდგას - არგენტინელი თავდამსხმელის აგენტმა ეს განცხადება გუშინ ნაშუადღევს გააკეთა. მან დაარწმუნა მიმომხილველები, რომ საღამოს ტევესი უკვე "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი გახდებოდა. რა თქმა უნდა, მინდორზე გასვლამდე საფეხბურთო ასოციაციის რეგისტრაციაა საჭირო. რაც შეეხება სამედიცინო შემოწმებას, სანდო წყაროს თუ დავუჯერებთ, ფეხბურთელს შემოწმება უკვე გავლილი აქვს და კაჟივით ჯანმრთელია.

რას უნდა ვუმადლოდეთ ამ საქმის კეთილად დასრულებას? რას და **კია ჯურაბჩიანისა** და კარლოსის მეგობრობას. ტევესმა პირადად მას მიმართა და "ვესტ ჰემთან" საერთო ენის გამონახვა სთხოვა. ეს რომ არა, საქმე უზენაეს სასამართლოში გაირჩეოდა და ვინძლო, კარლოსს რამდენიმე თვე სახლში გაეტარებინა. შეთანხმება, როგორც იქნა, შედგა: ჯურაბჩიანი, რომელიც "დე ფაქტო" ტევესის სატრანსფერო უფლებებს ფლობდა, 10 მილიონ გირვანქას მიიღებს, "ვესტ ჰემი" კი - რომელსაც ეს უფლებები "დე იურე" ეკუთვნოდა, მხოლოდ 2 მილიონს გამორჩება. თავდამსხმელი ორწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს, ხელშეკრულების სამი წლით გაგრძელების პირობით. "სანის" მტკიცებით, შეთანხმება პირადად ტევესს ხუთი წლის განმავლობაში 22 მილიონ გირვანქას მოუტანს, რა თქმა უნდა, თუ ის ჭკვიანად მოიქცევა და კონტრაქტის გაგრძელებას დაიმსახურებს.

ტევესის საკითხის გადაწყვეტამ კიდევ ერთ ტრანსფერს გაუხსნა გზა. ეჭვი ალარავის ეპარება, რომ **ალან სმიტი** "ნიუკასლში" ჩაირიცხება. "იუნაიტედი" კი ამ გარიგების სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას მოიგებს.

### ატლეტიკო არ ცხრება

მადრიდის "ატლეტიკო" ძალიან ახლოსაა კიდევ ერთ მიზანთან, კონტრაქტი გაუფორმოს თანაქალაქელი "რეალისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალურ ნახევარმცველ **ჩავი გარსიას**. ესპანური მედიასაშუალებების მტკიცებით, საქმეს წერტილი სულ მალე დაესმება. ამასთან, "რეალს" უფლება დარჩება მომდევნო ორი წლის განმავლობაში ფეხბურთელის უპირატესი შესყიდვის უფლებით ისარგებლოს. ასეთივე პირობებით "როხიბლანკომ" შარშან სამეფო კლუბს კიდევ ერთი პერსპექტიული ფეხბურთელი **ხოსე მანუელ ხურადო** წაჰგვარა.

### ფლორენციული გეგმები

"ფიორენტინამ", ვისი სატრანსფერო ბიუჯეტიც 30 მილიონ ევროს აღწევს, საკუთარი ამბიციური გეგმები გაამხილა. კლუბის ხელმძღვანელობას სურს, მადრიდის "ატლეტიკოს" არგენტინელი განაპირა ნახევარმცველი, უკანასკნელი მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლის ავტორი **მაქსი როდრიგესი** შეიძინოს, გვამცნობს გაზეთი "ლა ნაციონე". ამასთან, "იები" უარს არ იტყოდნენ, რომ საკუთარ რიგებში ეხილათ "პორტუს" **რიკარდო კვარეშმა** ან "ლივერპულის" **მარკ გონსალესი**. "ფიორენტინის" ბოსებს, ამ გეგმების გახმოვანებით, გულშემატკივრების წინაშე რალაცნილად თავის მართლებაც გამოსდით, იმიტომ, რომ ადგილობრივი ტიფოზების ფავორიტი, "აძურის" სუპერფორვარდი **ლუკა ტონი** კლუბმა მიუნხენის "ბაიერნს" 11 მილონ ევროდ დაუთმო.



ჯონ ტერი და ფრენკ ლემპარდი

ინგლისის სუპერთასის წინ

# მანჩესტერსა და ჩელსის ტრავმებმა შეუტია

## სეზონი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მწვრთნელებს პრობლემები უკვე შეექმნათ...

ხვალ, ინგლისის ჩემპიონატის ორი უმთავრესი ფავორიტი შეხვდება ერთმანეთს. "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" "ქომიუნითი შილდით" ახალ სეზონს გახსნიან. ამ გუნდებმა უკანასკნელად ასოციაციის თასის ფინალში ითამაშეს. იმ მატჩის მასპინძელიც "უემბლი" იყო. "არისტოკრატებმა" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. "იუნაიტედი" რევანშის ასაღებად ემზადება, მაგრამ მას სერიოზული პრობლემები აქვს. ოთხშაბათს "მანჩესტერმა" "ინტერთან" ამხანაგური მატჩი 2:3 წააგო. იტალიელებმა სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს. მასპინძელთა დაცვამ ისე სუსტად ითამაშა, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** გაოგნებული იყო. ასეთი დაცვით სუპერთასის მოგება შეუძლებელია, ასეთი გახლავთ მიმომხილველების ვერდიქტი.

მაგრამ პრობლემები არ ელევა "ჩელსისაც". საეჭვოა წამყვანი ცენტრალური მცველის **ჯონ ტერის** თამაში. ამერიკული ტურნეს დროს კაპიტანმა ფეხის თითი მოიტეხა. ოპერაცია ახალი გაკეთებული აქვს **უეინ ბრიჯს**. ბრაზილიელი **ალექსი** კი გუნდს მხოლოდ ორი დღის წინათ შეუერთდა. ლონდონელი ფანები პირველად იხილავენ ახალწვეულ ნახევარმცველ **სტივ სიდველს**, რომელმაც წინასასეზონო მატჩებში საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. "იუნაიტედს" ორი ახალწვეული დააკლდება. ვერ ითამაშებენ **ოუენ ჰარგრივსი** და **ანდერსონი**. ტრავმა თითქმის მოიშუშა **ნანიმ**, რომელსაც გასიებული კოჭის გამო "ინტერთან" მატჩი გაუცდა.

გადავინაცვლოდ ისევ ლონდონელთა ბანაკში. დაშავებულია **ფრენკ ლემპარდიც**. ტერის მსგავსად, მასაც ფეხის თითი აქვს მოტეხილი და ეს ტრავმა მასაც ამერიკიდან ჩამოჰყვა. ლემპარდს უსიამოვნება სამი კვირის წინათ შეემთხვა, მაგრამ ფეხს იქამდე არ მიაქცია ყურადღება, სანამ ტკივილი გაუსაძლისი არ გახდა. ხვალ ფრენკი თამაშს მაინც აპირებს. ის თანახმაა, ტკივილგამაყუჩებელი გაიკეთოს და მინდორზე გავიდეს. ექიმები ლემპარდს ასპარეზობას არ ურჩევენ. მათი თქმით, ათდღიანი დასვენება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. **ჟოზე მოურინიო,** ალბათ, ექიმების რჩევას დაჰყვება. **ანდრეი შევჩენკო** ამერიკულ ტურნედან ზურგის ტრავმით დაბრუნდა. მან ერთი კვირა დაისვენა და პირველად ხუთშაბათს ივარჯიშა. მწყობრშია **მიკაელ ესიენიც**. მას წვივის კუნთი ალარ აწუხებს და სათამაშოდ მზადაა.

კიდევ ერთი ისტორიული ფაქტის შესახებ: "მანჩესტერ იუნაიტედი" "ჩელსის" "ქომიუნითი შილდზე" 2000 წელსაც შეხვდა და 0:2 წააგო. სამაგიეროდ, ის სეზონი მორიგი ჩემპიონობით დაასრულა. ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად.

რაკი "არისტოკრატებზე" ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ თუ **არიენ რობენი** "რეალში" გაიყიდება, ამ ფულით ლონდონელები სევილიელ **დანიელ ალვეშს** შეიძენენ. ინფორმაცია "სანის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა. პოპულარული ტაბლოიდი იუწყება, რომ "რეალს" ჰოლანდიელი გარემარბი 19 მილიონი გირვანქა დაუჯდება, "ჩელსის" კი ბრაზილიელი განაპირა მცველის სანაცვლოდ ერთი მილიონით მეტის გადახდა მოუწევს.

ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

# ჩემპიონატს მხოლოდ საუკეთესო გუნდი იგებს

## მანჩესტერს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, ლივერპულსაც, მაგრამ ჟოზე ინგლისის საუკეთესო კლუბად ჩელსის მიიჩნევს...



ჟოზე მოურინიო

**გასულ სეზონში ჟოზე მოურინიომ ორი ტიტული მოიპოვა, მაგრამ მაინც გააკრიტიკეს. ხსენებულ ორ ტიტულს შორის, არც ინგლისის ჩემპიონობა იყო და არც ჩემპიონთა თასი. ინტენსიური მოსამზადებელი ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. ხვალ "არისტოკრატები" სეზონს გახსნიან. "ქომიუნითი შილდზე" მათი მეტოქე ჩემპიონი და უმთავრესი მეტოქე "მანჩესტერ იუნაიტედი" იქნება. მოურინიომ დრო გამონახა და ESPN-ს ინტერვიუზე დათანხმდა. ცნობისთვის, ინტერვიუს "ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მცველი ფრანკ ლებეფი უძღვებოდა.**

**- გასულ სეზონში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეთ. ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასების მოპოვება ადვილი არ არის, მაგრამ ალბათ მაინც იმედგაცრუებული ბრძანდებით, რადგან პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ხელი მოგეცარათ...**

- დიახ, გეთანხმებით. "ჩელსის" დიდი ფეხბურთელებისგან შემდგარი დიდი გუნდია. ის ზედიზედ ორგზის ჩემპიონი იყო და ტიტულის შენარჩუნებას აპირებდა. ევოლუციას ზღვარი არ გააჩნია. მნიშვნელობა არ აქვს, რას აღწევ, ადამიანს ყოველთვის უფრო მეტის მიღწევა სურს. მაგრამ სამწუხაროდ, რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა. რეალობა იყო ის, რომ "ჩელსის" პრობლემები ჰქონდა, ძალიან ბევრი და სერიოზული პრობლემა, არა ერთი ტრავმა. როგორც იცით, მიკაელ ესიენი ჩვენი ნახევარდაცვის ღერძია. მან კი გასული სეზონის ნახევარი დაცვაში გაატარა. სხვა გზა არ იყო. ჯონ ტერი "ჩელსის" შეუცვლელი კაპიტანია. ტრავმის გამო მასაც ნახევარი სეზონი გაუცდა. არიენ რობენი და ჯო კოული საუკეთესო გარემარბებად მიმაჩნია. ჩვენ კი ნახევარი სეზონის განმავლობაში ისინიც გამოგვაკლდნენ. რა გამოვიდა? ის, რომ გაუთავებელი ტრავმების გამო თითქმის მთელმა სეზონმა სამი-ოთხი ფეხბურთელის ზურგზე გადაიარა. დროგბამ, ლემპარდმა და კარვალიომ თითქმის შეუცვლელად ითამაშეს. სხვები ხან ერთ თამაშში გვაკლდებოდნენ, ხან მეორეში. იძულებულნი გავხდით, ევოლუციაზე მეტად, ნებისმიერი ხერხით შედეგის მიღწევაზე გვეზრუნა. დიახ, მხოლოდ შედეგის მიღწევაზე, რათა გადავრჩენილიყავით: შედეგი ჩემპიონთა ლიგაში, რათა მომდევნო ეტაპზე გაგვეღწია, შედეგი სათასო ტურნირებში, შედეგი პრემიერლიგაში, რათა "მანჩესტერ იუნაიტედს" გასწრების საშუალება არ მისცე. აი, ეს იყო ჩვენი საზრუნავი. თამაშის გაუმჯობესებაზე ფიქრისთვის კი დრო ალარ გვრჩებოდა. ასეთ რეჟიმში ორი ტიტული მოვიპოვეთ, მათ შორის, ერთი თასი "უემბლიზე". ეს პირველი თასი იყო, რომელიც ახალ სტადიონზე გათამაშდა. ამიტომ ამ ჯილდოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, "ჩელსიმ" ასოციაციის თასის ის ბოლო ფინალიც მოიგო, რომელიც ძველ "უემბლიზე" გაიმართა. ჩემპიონთა ლიგაში ნახევარფინალში გავედით და პენალტებით წავაგეთ. გული დაგვწყდა, მაგრამ საერთო ჯამში, ვფიქრობ, ცუდი სეზონი არ გვქონია. ახალ სეზონში კი ყველაფერი თავიდან იწყება. მთავარია, რომ მოტივაციის ნაკლებობას არ ვუჩივით.

**- ცოტა ხნის წინათ ჯონ ტერის ვესაუბრე. ვკითხე, რომლის მოგება უფრო გაახარებდა, პრემიერლიგისა თუ ჩემპიონთა ლიგის. ის უფრო პრემიერლიგისკენ იხრება. იმიტომ ხომ არა, რომ ინგლისელია და ამ ტიტულს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?**

- დიახ, მე ასე ვფიქრობ. ეს ტიპური ინგლისური მენტალიტეტია.

**- თქვენ? თქვენ თუ გააკეთეთ არჩევანი? ვიცი, რომ ყველაფრის მოგება გინდათ, მაგრამ მაინც...**

- რა თქმა უნდა, ყველაფრის მოგება კარგი იქნებოდა, მაგრამ ორივემ ვიცით, რომ თანამედროვე ფეხბურთში ამის გაკეთება ჯოჯოხეთურად ძნელია. გასული სეზონი გავიხსენოთ. ჩვენ და "მანჩესტერ იუნაიტედი" ბოლო წუთამდე ოთხ ფრონტზე ვიბრძოდით. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ "მანჩესტერმა" მხოლოდ ჩემპიონობა მოიპოვა, ჩვენ კი - ორი თასი. რატომ? იმიტომ, რომ უფრო მეტის მიღწევა ძნელია. მაგრამ მოდით, საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ. "ჩელსის" ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, "მანჩესტერსაც" და "ლივერპულსაც" ძალიან ძლიერი. ასე რომ, დასკვნებს ნაადრევად ნუ გავაკეთებთ. არავინ იცის, რა მოხდება. ორი მნიშვნელოვანი ტურნირიდან ერთს ვერ გამოვარჩევ. ჩემპიონთა ლიგა მოგებული მაქვს და ვიცი, რომ ამ ტურნირში ყველაფერი ერთმა დეტალმა შეიძლება გადაწყვიტოს. 2004 წელს, როცა "პორტუ" თასს დაეუფლა, ნახევარფინალში "ოლდ ტრეფორდზე" დამატებითი დროის ბოლო წუთზე შევაგდეთ გამარჯვების გოლი...

**- ესე იგი, ყველაფერს იღბალი წყვეტს?**

- როგორ გითხრათ? თუ ვერ გაიტან, გავარდები. გასულ სეზონში პენალტებში წავაგეთ. რობენი საუცხოო პენალტისტია. იქ კი ააცილა, თანაც პირველი დარტყმა. იმის თქმა მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში დეტალები უფრო დიდ როლს თამაშობს, ჩემპიონატს კი მხოლოდ საუკეთესო გუნდი იგებს.

**- ყველაზე სტაბილური გუნდი?**

- დიახ, 10 თვის განმავლობაში ყველაზე სტაბილური გუნდი.

**- მაგრამ სტაბილურობა ხომ იმასაც ნიშნავს, რომ შემადგენლობა ხშირად არ შეიცვალოს, ესე იგი, არც ტრანსფერებში დაიხარჯოს ბევრი ფული. როგორ ფიქრობთ, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" კიდევ იტყვიან, რომ ყველაზე მეტს "ჩელსი" ხარჯავს?**

- იმედია, ალარ (იცინის).

**- ჩვენ სტაბილურობაზე ვსაუბრობდით...**

- დიახ, დიახ. პრობლემები, რაც ზემოთ ვახსენე, პირდაპირ უკავშირდება სტაბილურობას. გასულ სეზონში "ჩელსის" ყველაზე დიდი პრობლემა სტაბილურობა იყო. პრობლემების გარეშე კი მიმაჩნია, რომ ჩვენ ინგლისის საუკეთესო გუნდი გვყავს, თანაც საუკეთესო მოსამზადებელი პირობებით. ამიტომ იმედი მაქვს, რომ ახალი სეზონი უფრო სტაბილური იქნება. გავიხსენოთ შარშანდელი ტრავმები. არცერთი არ იყო უბრალო ტრავმა, თითქმის ყველა შემთხვევაში ოპერაცია გახდა საჭირო. რვა ოპერაცია ერთ სეზონში! ეს მეტისმეტია! ალარაფერს ვამბობ პეტრ ჩეხის ტრავმაზე. მჯერა იმავე გუნდის, რომელიც ერთი წლის წინათ მყავდა. აგრეთვე მათი, რომლებიც ამ ზაფხულს შემოგვიერთდნენ. მალუდა შესანიშნავი ფეხბურთელია და გუნდს დიდ ძალას მატებს. პისარო ისეთი თავდამსხმელია, როგორიც არ გვყავდა. ის დიდიესგანაც განსხვავებულია და შევასგანაც. თანაც, ვფიქრობ, ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეს. არ ვიტყვი, რომ ბენ ჰაიმი სუპერმოთამაშეა, რადგან კარვალიო და ტერი გვყავს, მაგრამ "ჩელსის" ისიც ძალიან სჭირდება. ის მესამე ცენტრალური მცველია და დარწმუნებული ვარ, დიდ სამსახურს გაგვიწევს. მოკლედ, "ჩელსის" კარგი გუნდი ჰყავს და მომავალ მატჩებს მოუთმენლად ველოდებით.

# საფრანგეთი 2007/08. განაცხადები

## ლიონი

დაარსდა: 1950

სტადიონი: "ჟერლანი" (42 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. გრეგორი კუპე | 31.12.72 |
| 25. იოან ჰარტოკი | 12.02.87 |
| 30. რემი ვერკუტრი | 26.06.80 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ფრანსუა კლერკი | 18.04.83 |
| 3. კრისი (ბრა) | 03.06.77 |
| 4. პატრიკ მიულერი (შვეიც) | 17.12.76 |
| 5. მატიო ბოდმერი | 22.11.82 |
| 11. ფაბიო გროსო (იტა) | 18.11.77 |
| 20. ანტონი რევეიერი | 10.11.79 |
| 21. ნადირ ბელჰაჯი (ალჟ) | 18.06.82 |
| 29. სებასტიან სკილაჩი | 08.11.80 |
| 32. სანდი პელო | 27.02.87 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. კიმ კალსტრიომი (შვედ) | 24.08.82 |
| 8. ჟუნინიო პერნამბუკანო (ბრა) | 30.01.75 |
| 24. რომენ ბეინიე | 06.05.87 |
| 26. ფაბიო დუშ სანტუში (ბრა) | 09.10.80 |
| 28. ჟერემი ტულალანი | 10.09.83 |
| 31. იასენ ჰიმა | 25.03.84 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. მილან ბაროში (ჩეხ) | 28.10.81 |
| 9. ფრედი (ბრა) | 03.10.83 |
| 10. კარიმ ბენზემა | 17.12.87 |
| 12. ლუაკ რემი | 02.01.87 |
| 14. სიდნი გოვუ | 27.07.79 |
| 18. ჰატემ ბენ აფრა | 07.03.87 |
| 22. სილვენ ვილტორი | 10.05.74 |
| 23. კადერ კეიტა (კ. დ'ივ) | 06.08.81 |
| 27. ანტონი მურიე | 27.09.87 |

მწვრთნელი: ალენ პერენი

## მონაკო

დაარსდა: 1924

სტადიონი: "ლუი II" (20 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. მანუელ ვალორიო | 23.02.87 |
| 16. სტეფან რუფიე | 27.09.86 |
| 30. ფლავიო რომა (იტა) | 21.06.74 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. სილვენ მონსორო | 20.03.81 |
| 3. ჟერემი ბერტო | 24.04.84 |
| 4. ფრანსუა მოდესტო | 19.08.78 |
| 15. ოლივიე ვეინო | 16.07.85 |
| 22. ბოლივარი (ბრა) | 16.08.80 |
| 25. ლეანდრო კუფრე (არგ) | 09.05.78 |
| 26. მასამბა ლო სამბუ (სენ) | 17.04.86 |
| 27. არნო ლესკური | 13.02.86 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. დიეგო პერესი (ურუ) | 18.05.80 |
| 6. იაროსლავ პლასილი (ჩეხ) | 05.01.82 |
| 7. ლუკას ბერნარდი (არგ) | 27.09.77 |
| 14. მალორი მარტენი | 25.08.88 |
| 17. სერჟ გაკპე | 07.05.87 |
| 20. ხუან პაბლო პინო (კოლ) | 30.03.87 |
| 21. კამელ მერიემი | 18.10.79 |
| 23. იერკო ლეკო (ხორ) | 09.04.80 |
| 24. სედრიკ მონგონგუ | 22.06.89 |
| 28. ნიკოლა მორის-ბელეი | 19.04.85 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. მოჰამედ კალონი (ს. ლეონ) | 20.08.79 |
| 9. იან კოლერი (ჩეხ) | 30.03.73 |
| 10. ჟერემი მენეზი | 07.05.87 |
| 18. ფრედერიკ პიკიონი | 08.12.78 |
| 19. გონსალო ვარგასი (ურუ) | 22.09.81 |
| 28. ნიკოლა მორის-ბელეი | 19.04.85 |
| 29. ალექსანდრ ლიკატა | 02.01.84 |

მწვრთნელი: რიკარდო გომესი

## მარსელი

დაარსდა: 1899

სტადიონი: "ველოდრომი" (60 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სედრიკ კარასო | 30.12.81 |
| 16. სებასტიან ჰამელი | 20.11.75 |
| 30. მეჰდი სენაუი | 05.05.86 |
| 45. სებასტიან მატე | 19.09.72 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. რენატო სიველი (არგ) | 14.10.83 |
| 3. ტაიე ტაივო (ნიგ) | 16.04.85 |
| 4. ჟულიან როდრიგესი | 11.06.78 |
| 5. ჟაკ ფატი | 25.02.84 |
| 14. ლეიტი ნ'დიაიე (სენ) | 19.08.85 |
| 15. რონალდ ზუბარი | 20.09.85 |
| 20. ჰასუნ კამარა | 03.02.84 |
| 21. ბოსტჟან სესარი (სლოვენ) | 09.07.82 |
| 23. ჰაბიბ ბეიე (სენ) | 19.10.77 |
| 24. ლორან ბონარი | 25.12.79 |
| 27. პაპე მ'ბოვი | 22.05.88 |
| 31. ანტონი მარენი | 21.09.89 |
| 32. გაელ ჟივე | 09.10.81 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. კარიმ ზიანი (ალჟ) | 17.08.82 |
| 7. ბენუა შეირუ | 03.05.81 |
| 8. ვილსონ ორუმა (ნიგ) | 30.12.76 |
| 10. ბუდევეინ ზენდენი (ჰოლ) | 15.08.76 |
| 17. მოდესტ მ'ბამი (კამ) | 09.10.82 |
| 19. ლორიკ კანა (ალბ) | 27.07.83 |
| 22. სამირ ნასრი | 20.06.87 |
| 25. მამე ნ'დიაიე | 11.01.86 |
| 26. ტინგ კუანგ ლაო | 08.05.88 |
| 28. მატიო ვალბუენა | 28.09.84 |
| 29. ანდრე აიევი | 17.12.89 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ჯიბრილ სისე | 12.08.81 |
| 11. მამადუ ნიანგი (სენ) | 13.10.79 |
| 12. ფაბრის ფიორეზი | 26.07.75 |
| 13. სალიმ არაში | 14.07.82 |
| 18. ვენსან გრანიკი | 23.06.83 |

მწვრთნელი: ალბერტ ემონი

## ბორდო

დაარსდა: 1881

სტადიონი: "შაბან-დელმა" (34 088)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. კევინ ოლიმპა | 10.03.88 |
| 16. ულრიშ რამე | 19.09.72 |
| 30. მატიო ვალვერდე | 17.11.85 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. პოლ ბეისი | 18.05.88 |
| 3. ენრიკე (ბრა) | 02.05.83 |
| 4. ალუ დიარა | 15.07.81 |
| 6. ფრანკ ჟურიეტი | 30.03.75 |
| 13. დავიდ ჟემალი | 13.12.74 |
| 21. მატიო შალმე | 07.10.80 |
| 23. ფლორიან მარანჟი | 03.03.86 |
| 27. მარკ პლანუსი | 07.03.82 |
ირლანდიელზე გამარჯვების ამჯერადაც გვეიმედება, მაგრამ რომ პიტერმა მერვედფინალში მეორე ნომრად განთესილი რუსი **მიხაილ ელგინი** დაამარცხა ძალზედ იოლად - 6:2, 6:1. როგორც ჩანს, ბრიტანელი გაიხსნა და საკუთარი თამაში იპოვა, თუმც არც ქართველი უნდა იყოს ნაკლებ იშტაზე და ვნახოთ, ვისი აჯობებს...

საინტერესო ბრძოლას ველოდი პირველ ნომრის, ხორვატი **ივან სეროვიჩსა** და ირლანდიელ **ჯეიმს კლასკის** შეხვედრაში, მაგრამ ბრიტანელი სათამაშოდ არ გამოცხადდა - მარჯვენა მაჯის ტრავმა მიუღია... ეს დანაკლისი გულშემატკივარმა ფრანგი **კლემან მორელისა** და ჩეხი **დანიელ ლუსტიგის** ორთაბრძოლის ხილვით შეივსო: ფრანგი მესამედ განთესილი იყო, ჩეხი კი - მერვედ ციფრებში უპირატესობა თვალსაჩინო კია, მაგრამ შედეგში ამან საპირისპირო ასახვა ჰპოვა: სლავმა სამ სეტში იმარჯვა: 4:6, 6:4, 6:3.

მეორე ნახევარფინალში სეროვიჩი ლუსტიგის დამარცხებას ეცდება. აღსანიშნავია, რომ ოთხეულში მხოლოდ კლარკია განუთესავი. ნახევარფინალები დილის 11 საათზე დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

**ძიუდო**

## გერმანიაში ყველაფერი დადგინდება





ბაინდურაშვილისა და გავაშელიშვილის კონკურენციის საკითხი გერმანიაში გაირკვევა

9 აგვისტოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გერმანიაში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ. შეჯიბრება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია - ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა ძირითადად უკვე შეარჩია, მაგრამ კონკურენცია ორ წონაში ჯერ ისევ რჩება. გერმანიაში სწორედ ეს ვაკანსიები უნდა შეივსოს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოზე გამოსვლის უფლება უკვე მოიპოვეს **ნესტორ ხერგიანმა** (60), **ზაზა კედელაშვილმა** (66), **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე). გაურკვეველი რჩება 81 კილოსა და აბსოლუტური პირველობის საკითხი.

ხაბარელი ამ ტურნირს სასტარტო, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ მნიშვნელობას ანიჭებს და ამიტომ გერმანიაში თითქმის ყველა ის ფალავანი მიჰყავს, ვინც უკვე გაინაღდა ბრაზილიაში წასვლა. უბრალოდ, ზოგს ამჯერად წონას არ აკლებინებს, რადგან მსოფლიოს წინ ეს კიდევ მოუწევთ და ახლა ზედმეტად არ ტვირთავს. ასეთი ორი ფალავანია - ზაზა კედელაშვილი (73) და ირაკლი ცირეკიძე (100). სამწუხაროდ, ორი ლიდერი ტრავმის გამოც გამოაკლდა - ხერგიანსა და ქევხიშვილს ფეხი სტკივათ. ტრავმები არაა იმდენად საშიში და საგანგაშო, მაგრამ მწვრთნელი სრულიად სამართლიანად, არ რისკავს. მართალია, მათ სტარტი დააკლდებათ, მაგრამ დიდი გამოცდილების ხარჯზე ამის კომპენსაცია არ გაუჭირდებათ.

მოკლედ, ხაბარელს გერმანიაში გადახალისებული და არასრული გუნდი მიჰყავს: **ბეთქილ შუკვანი** (60), ზაზა კედელაშვილი (73), **საბა გავაშელიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (100), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (მძიმე) იჭიდავებენ.

კონკურენციის თვალსაზრისით, ცხადია, ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს გავაშელიშვილისა და ბაინდურაშვილის გამოსვლა - 81-ში სწორედ ესენი იბრძვიან ბრაზილიის საგზურისთვის. რაც შეეხება აბსოლუტურს, იქ კონკურენტებად ხანჯალიაშვილი და **ადამ ოქრუაშვილი** რჩებიან, ოღონდ ოქრუაშვილი ზუსტად ამ ტურნირის პარალელურად - 11-12 აგვისტოს ტაილანდში იჭიდავებს მსოფლიო უნივერსიადაზე. თუ პირველ წყვილს მთავარი მწვრთნელი უშუალოდ დააკვირდება და ერთმანეთთსაც შეუდარებს, აბსოლუტურში არჩევანის გაკეთება მწვრთნელთა საბჭოსთან კონსულტაციებით მოუწევს - ორივე ფალავნის გამოსვლას ერთმანეთს შეუდარებენ, ორივეს პლუს-მინუსებს აწონიან და გადაწყვეტილებასაც ისე მიიღებენ.

ნაკრებმა უკვე დაამთავრა საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება ბაკურიანში და გერმანიისთვის თბილისში ემზადება.

**ირაკლი თავაძე**

**ფრენბურთი** მსოფლიოს ტური

## მერვედფინალში გავიდნენ

ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში პლაჟბურთის წყვილი გეორ-გია ბრძოლას აგრძელებს. ჯგუფური ტურნირის მეორე დღე ჩვენმა ფრენბურთელებმა ისევ მარცხით დაიწყეს. ჩინურ წყვილთან (**ვუ-სიუ**) რომელიც ტურნირში მეხუთე ნომრადაა განთესილი, პირველი სეტი გეორ-გიამ 16:21 წააგო, თუმცა მეორეში ძალზედ იოლად, 21:8 ძლიეს აზიელები. თითქოს გამარჯვებაც ახლოს იყო, მაგრამ გადამწყვეტ სეტში ჩინელებმა იმარჯვეს 15:12.

ბოლო შეხვედრაში გეორ-გიას აუცილებლად გამარჯვებას სჭირდებოდა. ლატვიელებმა **პლავინსმა** და **სამოილოვსმა** ჩვენს ფრენბურთელებს საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა გამარჯვება მაინც ქართულ წყვილს დარჩა 2:1 (21:17, 18:21, 15:9).

მერვედფინალში გეორ-გიას მეტოქე მათთვის კარგად ნაცნობი ჰოლანდიური წყვილი, **ბოერსმა** და **რონესი** იქნება. ერთი კვირის წინათ გშტაადში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, გეორ-გიამ ერთადერთი გამარჯვება სწორედ ამ ჰოლანდიური წყვილთან მოიპოვა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

BELGRADE 2007

# ძიუდო, ჩოგბურთი და... ნონა ბელგრადში



როგორც სპორტის გულშემატკივარმა იცის, ივლისის ბოლოს, ბელგრადში დასრულდა ევროპის ახალგაზრდობის მე-9 ოლიმპიური ფესტივალი, სადაც საქართველოს გუნდმა დამაჯერებლად იასპარეზა. ჩვენი ნორჩი ოლიმპიელების ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე მონაწილეობა საქართველოს ოლიმპიური ფონდის უდიდესი თანადგომითა და სეოკ-ის აქტიური მხარდაჭერით მოხერხდა.

"მცირე ოლიმპიადა" - ასე უწოდებენ შეჯიბრებას სპეციალისტები და სრულიად სამართლიანადაც - თავად განსაჯეთ - სპორტის 11 სახეობა, კონტინენტის 49 ქვეყანა და 2500-მდე სპორტსმენი - ალბათ უკვე ზედმეტია ამ თამაშების მნიშვნელობაზე საუბარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტის, ამჟამად კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცის **ჟაკ როგის** 16 წლის წინანდელმა ინიციატივამ გაამართლა და დღეს "ბებერი კონტინენტი" საკმაოდ მაღალი დონის შეჯიბრებით იწონებს თავს. როგორც ხედავთ, თამაშებს არც ევროპულ სპოტულ რუკაზე თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება გასჭირვებია. თავდაპირველად, იგი ოლიმპიური დღეების სახელს ატარებდა, 2003 წლიდან კი ფესტივალად იწოდება.

მქონდა შესაძლებლობა, აღნიშნულ სპორტულ ღონისძიებას რამდენჯერმე დავსწრებოდი. ბელგრადის თამაშები ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში მეხუთე იყო და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სულ უფრო თვალშისაცემი ხდება მოწინავე ევროპული ქვეყნების სერიოზული დამოკიდებულება ოლიმპიური ფესტივალისადმი. ეს არც არის გასაკვირი - იგი ხომ დიდი ოლიმპიური თამაშების გენერალურ რეპეტიციად ითვლება და აქ გამობრძმედილ-დალვინებული ახალგაზრდა ათლეტები მაღალი მიღწევების სპორტში იკაფავენ გზას. მაგალითისთვის შორს წასვლა საჭირო არ არის: **ჯარჯი ზვიადაური, ლაშა გუჯეჯიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე** და ა.შ. ამის ნათელი დადასტურებაა. ბუნებრივია, ორმაგად მისასალმებელია ჟაკ როგის გადაწყვეტილება 2010 წლიდან მსოფლიოს ანალოგიური თამაშების აღდგენის შესახებ, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ნორჩი ათლეტების დაოსტატებას.

"ბელგრადი 2007" უკვე ისტორიის კუთვნილებაა. "ლელოც" უშუალოდ ადევნებდა თვალს და მის პერიპეტიებსაც დროულად გაწვდიდათ, მაგრამ, ვფიქრობთ, უპრიანი იქნებოდა, მასში ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობასა თუ სხვა შთაბეჭდილებებზე კიდევ ერთხელ, ცივი გონებით გვესაუბრა.

ადრეც ვწერდით, რომ ბელგრადულმა ფესტივალმა, წინამორბედებისგან განსხვავებით, აუტანელ კლიმატურ პირობებში ჩაიარა. სპორტსმენებს ასპარეზობა გაუსაძლისი ხვატის ქვეშ უხდებოდათ, რაც მათს განწყობასა თუ შედეგიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. როგორც ამბობენ, ბელგრადს ჰაერის ასეთი მაღალი ტემპერატურა 120 წელიწადია არ ახსოვს. თამაშები ორგანიზატორული თვალსაზრისითაც აშკარად უკეთეს სურვილს ტოვებდა. გასაგებია, რომ მსგავსი დონის შეჯიბრებებზე მცირედი ხარვეზები ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ, ამჯერად, რბილად რომ ვთქვათ, ორგანიზატორებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს. მსგავსი ტურნირებისთვის შეუფერებელი საყოფაცხოვრებო პირობები, მცირე ზომის ოთახები ორ ადამიანზე, თანაც კონდიცირების გარეშე; დაბალი დონის კვების ბლოკი, სასადილოში ხანგრძლივ რიგში მდგომი ასობით ადამიანი, მწირი მენიუ, და ისიც თვლით, ბელგრადული თამაშების სავიზიტო ბარათად იქცა; შეფერხებები ტრანსპორტირების მხრივ; არაკვალიფიციური მომსახურე პერსონალი, რომელიც ვერცერთ შეკითხვაზე, ამომწურავს რომ თავი დავანებოთ, მიახლოებით პასუხსაც ვერ სცემდა. გაუმართავი პრესცენტრი, სადაც ინფორმაციულ ვაკუუმში გვიხდებოდა მუშაობა - "Sorry, I don't know" - დაზეპირებული პასუხებით გვისტუმრებდნენ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს. ყოველივე ეს სერბებისგან მით უფრო გასაკვირია, რომ მათ არაერთი მაღალი რანგის სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის გამოცდილება აქვთ, საერთაშორისო ტურნირებით დაწყებული, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებით დამთავრებული.

საერთო ჯამში, საქართველოს გუნდის ასპარეზობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს. სამივე სინჯის ორ-ორი მედალი და საერთო გუნდურ ჩათვლაში 49 ქვეყანას შორის ხარისხობრივად 16-ე, ხოლო რაოდენობრივად 19-ე ადგილი, ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. უკან ჩამოვიტოვეთ ევროპული მასშტაბით ისეთი მძლავრი, ეკონომიკურად წელში გამართული და ინფრასტრუქტურის კუთხით მდგრადი ქვეყნები, როგორებიც არიან ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, შვეიცარია, დანია, ჩეხეთი, ირლანდია, ავსტრია და ა.შ. ორივე მაჩვენებლით ვაჯობეთ ნორვეგიას, ბულგარეთს, პორტუგალიას, ბელარუსს... ამ უკანასკნელის ანგარიშზე ბოლო ორ დღეს მოპოვებული 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალია. "საქვეყნოდ შევრცხვით", სამშობლოში აღარ ჩაგვესვლება", "ლუკაშენკო ამას არ გვაპატიებს" - წუხდნენ ბელარუსის წარმომადგენლები, რომლებიც ოლიმპიურ სოფელში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. აქვე დავძენთ, რომ სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ (27 კაცი) საქართველო 11 ქვეყანას უსწრებდა, ხოლო მეტი სიცხადისათვის დავამატებთ, რომ წინა ფესტივალზე, იტალიურ ლინიანოში 13-ე, 2003 წელს პარიზში 15-ე პოზიციაზე ვიყავით, საუკეთესო შედეგი კი, 4 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედლით, 2001 წელს მურსიაში გვქონდა - 10-ე ადგილი.

სასიხარულოა, რომ ჩვენმა ნორჩმა ოლიმპიელებმა თავი არც ბელგრადში შეირცხვინეს, მეტ-ნაკლებად წარმატებულად იასპარეზეს და ქართული სპორტის იმიჯი დაიცვეს. თუმცა მედალს ხომ ორი მხარე აქვს და მთლად საგანგაშო თუ არა, არასასურველი ტენდენციები, რომლებიც უსათუოდ დაფიქრებას საჭიროებს, ბელგრადულმა ფესტივალმაც წარმოაჩინა.

2007 წლის ოლიმპიურ ფესტივალის შედეგებით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის მეხუთე ადგილზე ვართ, მაგრამ ლატვიასა და აზერბაიჯანთან ჩამორჩენა დიდი მოულოდნელობა იყო. სტატისტიკის მიხედვით, მათ მუდამ ვუსწრებდით, მაგრამ ამჯერად ჩვენი კავკასიელი მეზობლის შედეგი სასწაულის ტოლფასი იყო - 7 მედალი და ყველა უმაღლესი ხარისხისა. ბევრი შეიძლება ვისაუბროთ, თუ რამდენად დაცული იყო ასაკობრივი ზღვარი აზერბაიჯანელთა გუნდში, განსაკუთრებით ეჭვის შეტანა ძიუდოისტებზე შეიძლება, სადაც 4 ოქროს მედალი მოიპოვეს. ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო და ალბათ ამ ფორებში სიმართლის მარცვალიც ურევია, მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალურ შემოწმებამდე საქმე არ მისულა და ოლიმპიური ფესტივალის ისტორიასაც აზერბაიჯანის 7 ოქროს მედალი და მე-6 გუნდური ადგილი შემორჩება. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ლატვიასა და აზერბაიჯანში სპორტში დიდი ფული ჩაიდო და მათ ვერც ინფრასტრუქტურით გავუტოლდებით.

ბელგრადის თამაშებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორებიცაა მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, ამ ასაკობრივ ჯგუფში ჩვენსა და საშუალო დონის ევროპელ სპორტმენს შორის ისეთი სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. თავისთავად ცუდია, როდესაც სპორტის სახეობების თითზე ჩამოსათვლელი ოდენობის იმედად ხარ და სხვები მხოლოდ ტურისტების რანგში არიან. ამ ფესტივალმა ეს სამწუხარო რეალობა კიდევ ერთხელ დაგვანახა და არ არის გამორიცხული მომავალში ანალოგიურ თამაშებში სეოკ-ის მხრიდან იმ სახეობებისადმი მიდგომა, სადაც საშუალო დონეზეც ასპარეზობის იოტისოდენა შანსიც არ არსებობს, რადიკალურად შეიცვალოს.

ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალა ამჯერადაც ძიუდო იყო. აქამდე მოპოვებული 35 მედლიდან 31 სწორედ მათს ანგარიშზე იყო და ბელგრადშიც ქართველმა კიმონოსნებმა საკუთარ აქტივს კიდევ 4 მედალი შემატეს. თითო-თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო - ასეთია მათი მონაგარი. ეს ის გუნდია, რომელმაც ერთი თვის წინათ, მალტაში ჭაბუკთა კონტინენტის პირველობაზე იასპარეზა და ბელგრადში ერთი ბრინჯაოს მედალი დააკლდა ზუსტად იმავე შედეგის გასამეორებლად.

**ზებედა რეხვიაშვილს** (66 კგ) მწვრთნელები ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ და მანაც გაცემული ავანსები სრულად გაამართლა. მართალია გამარჯვებულს არ ასამართლებენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზებედამ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ ბეწვის ხიდზე გაიარა. განსაკუთრებით გადამწყვეტ შეხვედრაში ლატვიელ **არტურ კურბანოვთან** "ნიუ ბელგრადის" დარბაზში შეკრებილ ქართველობას ნერვიულობისგან ლამის თმები გაგვითეთრდა. მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი "ჰეფი ენდით" დასრულდა და საქართველოს ჰიმნმაც დაიქუხა. სხვათა შორის, იმ დროს დარბაზში ჩოგბურთელები **ეკა გორგოძე** და **გიორგი ხმიადაშვილიც** იმყოფებოდნენ. თვალზე სიხარულის ცრემლი აუკიაფდათ და სწორედ მაშინ დადეს პირობა, რომ უსიკვდილოდ გაიმარჯვებდნენ.

შედარებით უფრო ლაღად იჭიდავა ვერცხლის პრიზიორმა **ზვიად კაპანაძემ**. ფინალამდე არცერთ ბრძოლაში მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. სამმა იპონმა და ნახევარფინალში უკრაინელ მეტოქესთან დიდი უპირატესობით მოგებულმა შეხვედრამ ქართული დელეგაცია ამაღლებულ განწყობაზე დაგვაყენა. ფინალში ზვიადს აზერბაიჯანელი **სარხამ ახმადოვის** სახით უძლიერესი მეტოქე ელოდა. თან მას ჩვენებური ერთხელ უკვე დამარცხებული ჰყავდა და ყველა რევანშის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ... 25 ივლისს ბელგრადის ტატამზე ორჯერ ვიხილეთ აცრემლებული თვალები - სიხარულისა და სინანულის ნიშნად. მწვრთნელი **გურამ მოდებაძე** დანანებით აღნიშნავდა, რომ **გიორგი მერმანიშვილს** ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი გაიტანა. *"ნახევარფინალში იუსუპ-ჰაჯი აკსანოვთან გიორგიმ საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინა. ვეუბნებოდი, რომ თავისუფლად ეჭიდავა, მაგრამ შებოჭილი იყო. ვერ ვიტყვი, რომ შიშის ფაქტორი იყო, ალბათ, უფრო რწმენა აკლდა"* - მითხრა გურამ მოდებაძემ. მერმანიშვილი უშუალოდ გურამ მოდებაძის შეგირდია და ალბათ ამიტომაც უფრო ეიმედებოდა. შეგახსენებთ, რომ მოდებაძის აღზრდილებმა **ჯარჯი ზვიადაურმა, ლაშა გუჯეჯიანმა, გრიგოლ შინჯიკაშვილმა** და **მინდია ხომიზურმა** 2001 წელს მურსიაში იჩემპიონეს და შემდეგაც არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. საბოლოოდ, გიორგი მერმანიშვილი (73კგ) ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა, ისევე როგორც **ოთარ კაიდარაშვილი** (50 კგ). ძნელია იმის მტკიცება, ბელგრადული შედეგი ჩვენი ძიუდოისტების მაქსიმუმი იყო თუ არა. 4 მედალი და მე-2 გუნდური ადგილი თითქოს უკმაყოფილების საბაბს არ უნდა გვაძლევდეს.

სამწუხაროდ, უკმაყოფილების განცდა დაგვიტოვეს ჩვენმა მძლეოსნებმა. როგორც ჩანს, მათ სრულად ვერ გააცნობიერეს, რა დონის შეჯიბრებაში უხდებოდათ ასპარეზობა. ამაში დათვური სამსახური ამას წინათ ტრაბზონში გამართულმა შავი ზღვის აუზის თამაშებმაც გაუწია. რა თქმა უნდა, ტრაბზონის თამაშების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს - პირიქით, სასიხარულოა, რომ იქ ქართველმა მძლეოსნებმა წარმატებით იასპარეზეს, მაგრამ ფაქტია, რომ თურქული თამაშები ოლიმპიურ ფესტივალთან ვერც დონით, მნიშვნელობითა თუ სიძლიერით, ახლოსაც ვერ მივა. სად 12 და სად 49 ქვეყანა? ამიტომაც იყო, ახალგაზრდა ქართველი მორბენლები, სიმაღლესა და სიგრძეზე მხტომელები, რომლებმაც ტრაბზონში სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს, ბელგრადში "პარტიზანის" სტადიონზე ჩაიკარგნენ. ერთადერთი, **გიორგი ბედოშვილს** (ბირთვის კვრა) შეეძლო კარის გაჯახუნება, მაგრამ მეოთხე ადგილს ვერ ასცდა. დანარჩენებმა, **ენდრიკ ზილბერშტეინის** (400 მ) გარდა, საკვალიფიკაციო ეტაპის გავლაც ვერ მოახერხეს. აკი მითხრეს კიდევაც მძლეოსანთა მწვრთნელებმა **ზიგმუნდ ზილბერშტეინმა** და **გივი ბედოშვილმა** - ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ფეხქვეშ მიწა გაგვისკდა და თვალებში ვერ გიყურებთო.

სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყვეს ჩოგბურთელებმა. მათი წყალობით ფესტივალზე სახეობების მიხედვით მედალოსანთა გეოგრაფია გაიზარდა. ძიუდოს, ფეხბურთსა და მძლეოსნობას ჩოგბურთიც მიემატა, ხოლო ეკა გორგოძე და გიორგი ხმიადაშვილი ისტორიში შევიდნენ, როგორც ქართველთაგან პირველი მედალოსნები. დასანანი ის არის, რომ წყვილის გარდა ერთეულთა შორისაც შეგვეძლო გამარჯვება, მაგრამ ეკა გორგოძემ ფინალში **პოლინა ჰერცოგს** ვერაფერი მოუხერხა, თუმცა ენა არავის მოუბრუნდება გორგოძეზე აუგის სათქმელად, გიორგი ხმიადაშვილი კი, განსაკუთრებით წყვილთა ფინალში, შეუდარებელი იყო. ბელგრადული ოქრო-ვერცხლი ჩვენს ჩოგბურთელებს სათანადოდ დაუფასდათ და ოლიმპიური ფონდი მათ შეკრების მოწყობაში დაეხმარება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმის **ზურაბ კახაბრიშვილის**, სოფელში მისიის ხელმძღვანელის **გიორგი ესაკიას**, სეოკ-ის თანამშრომლის **რუსუდან აფციაურისა** და ადმინისტრაციის სხვა წევრების მიერ შესრულებული ის შავი სამუშაო და მუხლჩაუხრელი შრომა, რაც კულისებს მიღმა არ ჩანს, საერთო წარმატებაში კი ლომის წილი მიუძღვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დელეგაციაში ქალბატონი **ნონა გაფრინდაშვილის** ყოფნა. გარდა იმისა, რომ იგი ჩვენი ათლეტებისთვის უდიდესი სტიმულის მომტანი იყო, გაოცებული დავრჩი მის მიმართ სერბების დამოკიდებულებით. ვიცოდით, რომ იგი ამ ქვეყანას მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა, მაგრამ ასეთ პატივისცემასა და სიყვარულს ნამდვილად არ მოველოდით. სასტუმროში, მაღაზიაში, რესტორანში, სპორტულ ბაზებსა თუ ქუჩაში ყველგან დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ და ქალბატონი ნონაც სურათების გადაღებასა თუ ავტოგრაფების დარიგებას ველარ აუდიოდა. თავად გავხდი მოწმე, თუ როგორ გაიქცა სახლში ტაქსის მძღოლი და ჩვენს ლეგენდარულ მოჭადრაკეს დაფასების ნიშნად წიგნი აჩუქა.

ბეო გრად, ანუ თეთრი ქალაქი, ასე მოიხსენიებენ ისტორიულად ბელგრადს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას სითეთრისა არაფერი სცხია და ამას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც აღიარებენ. სერბეთის დედაქალაქი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული და ამ ორმილიონიან ქალაქში სანახავი ბევრიც არაფერია, თუ არ ჩავთვლით კალმეგდანის ციხე-სიმაგრეს და წმინდა სავას მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძარს. თავად ბელგრადი დიდი სილამაზით ვერ დაიკვეხნის დ აშკარად დაუპროექტებელი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. საოცარია, რომ სერბეთის დედაქალაქში თანამედროვე ტიპის ავტომობილებს თითქმის ვერსად ნახავთ. ასევე აღნიშვნას იმსახურებს მეფე ალექსანდრეს სახელობის 40-კილომეტრიანი ქუჩა, რომელიც ალბათ ევროპაში ერთ-ერთი უგრძესია...

**კახა ბერიძე**
ბელგრადი-თბილისი

ზემძიმე წონა

# ჰოლიფილდი ტიტულისთვის იბრძოლებს



ევანდერ ჰოლიფილდი

ექვსი დღით ადრე, სანამ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, **ევანდერ ჰოლიფილდს** 45 წელი შეუსრულდებოდეს, მას კიდევ ერთი, ზემძიმე წონაში მეხუთე ტიტულის მოპოვების შანსი მიეცემა - 13 ოქტომბერს, მოსკოვის "ხოდინკას" არენაზე, 13-ის ტიტულისთვის, ის ამ ტიტულის რუს მფლობელს, **სულთან იბრაგიმოვს** დაუპირისპირდება.

ეს დრო და ადგილი სხვა ბრძოლისთვის იყო დათქმული - იბრაგიმოვს მეტოქედ WBA-ის ტიტულის მფლობელი, უზბეკი **რუსლან ჩაგაევი** ჰყავდა ამორჩეული, მაგრამ ამან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ბრძოლისგან თავი შეიკავა. როგორც ირკვევა, ჩაგაევს "ბე" ჰეპატიტი შეჰყრია, რის გამოც, სამი თვე ვერ შეძლებს ვარჯიშს. ამიტომ, მან იბრაგიმოვს წერილობით ამცნო, რომ მოსკოვში მასთან ბრძოლას ვერ შეძლებდა.

*"ეს ბრძოლა ჩემთვის მთავარი მიზნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება. ჩემი მთავარი მიზანი კი ალბათ იცით, რომ ყველა პრესტიჟული გაერთიანების ტიტულის ჩემს ხელში თავმოყრაა. ბედნიერი ვარ, რომ იბრაგიმოვმა შანსი მომცა"*, - განაცხადა ჰოლიფილდმა (42-8-2, 27 ნოკაუტი), ვინც ბოლოს ტიტულისთვის 2002 წელს იბრძოლა და **კრის ბერდთან** ქულებით წააგო.

ბერდთან წაგებიდან ორი წლის შემდეგ, ევანდერმა ქულებით წააგო ბრძოლა **ლარი დონალდთან**, რის შემდეგაც, ნიუ იორკის სპორტულმა კომისიამ ჩათვალა, რომ ჰოლიფილდს პროფესიულ რინგზე ბრძოლებისთვის ჯანმრთელობა აღარ უწყობს ხელს და ამის საფუძველზე, მოკრივის ლიცენზია ჩამოართვა. ამის გამო, სახელოვანმა მოკრივემ 21 თვე იუქმა, რის შემდეგაც, ლიცენზია დაიბრუნა და ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო. სწორედ ამ გამარჯვებათა წყალობით, მან რეიტინგში პოზიცია აიმაღლა და ტიტულისთვის ბრძოლის შანსიც გაუჩნდა.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჰოლიფილდი თანამედროვე ზემძიმე წონაში ყველაზე ცნობადი სახეა და ალბათ, პრომოუტერებისთვის ყველაზე სასურველი მოკრივეც, რადგან მისი ბრძოლის სანახავად, ახლაც კრივის ბევრი მოყვარული გაიღებს თანხას.

ჰოლიფილდს თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, ხუთი ტიტული აქვს მოპოვებული. ოღონდ, პირველად ჩემპიონი 1986 წელს კრეისერის (იგივე მძიმე) წონაში გახდა. ამას მოჰყვა ზემძიმეში გადასვლა და იქაურ გრანდებთან ბრძოლებში ოთხი ტიტულის დაუფლება. ევანდერს დამარცხებული ჰყავს თავისი დროის ისეთი სახელოვანი მოკრივეები, როგორებიც არიან **მაიკლ მურერი, რიდიკ ბოუ** და "რკინის მაიკი" - **მაიკ ტაისონი**. რა თქმა უნდა, მას კრივის დიდების დარბაზში დამკვიდრებაც განაღდებული აქვს.

იბრაგიმოვთან (21-0-1, 17 ნოკაუტი) გამარჯვების შემთხვევაში, ჰოლიფილდი კრივის ისტორიაში მეორე ყველაზე ხნიერი ჩემპიონი გახდება ლეგენდარული **ჯორჯ ფორმენის** შემდეგ.

სხვათა შორის, იბრაგიმოვისა და ჩაგაევის შეხვედრა, 1999 წლის შემდეგ ზემძიმე წონაში პირველი გამაერთიანებელი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, მათი ბრძოლისადმი ინტერესი ნაკლებად მოსალოდნელი იყო. სამაგიეროდ, რინგზე ევანდერის გამოჩენით, ბრძოლის ორგანიზატორები გაცილებით მეტი მაყურებლის (როგორც ტრიბუნაზე, ისე ტელეეკრანზე) მიზიდვას იმედოვნებენ.

*"რა თქმა უნდა, მე ძალიან მინდოდა, რომ ჩაგაევს ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაში შევხვედროდი. მაგრამ კრივის ლეგენდასთან პაექრობა ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება. რა თქმა უნდა, მისი მიღწევები ჩემგან დიდ პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ყველაფერს მაშინვე დავივიწყებ, როგორც კი მსაჯი სასტარტო გონგს შემოჰკრავს. მას უნდა, ის წამართვას, რაც თავდაუზოგავი შრომით მომიპოვებია - ჩემპიონის ტიტული. ჰოდა, მეც ამ ტიტულის დაცვას ვაპირებ. გარწმუნებთ, მას ადვილად ვერავინ წამართმევს"*, - ამბობს 32 წლის ჩემპიონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## პიტსბურგი ახალ არენაზე 2010 წელს გადავა

"პიტსბურგ პინგვინზი" ახალ სტადიონს დაგეგმილზე ერთი წლით გვიან, 2010-11 წლების სეზონში ჩაიბარებს.

"პინგვინების" პრეს-ატაშემ, **ტომ მაკმილანმა** სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა - მშენებლობის ვადების გადაწევა იმით არის განპირობებული, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ბოლომდე უნდა გაითვალისწინოს გუნდისა და ქალაქის ინტერესები და ამასთან, მშენებლობაში არცერთი შეცდომა არ უნდა იქნეს გაპარული.

*"ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს გათვლილი და დამატებით ერთი წელიწადი სწორედ ამის გამოა საჭირო"*, - განაცხადა მაკმილანმა.

## პენერი ედმონტონს დარჩა

როგორც მოსალოდნელი იყო, "ანაჰაიმმა" წააგო ბრძოლა "ედმონტონთან" და თავისუფალი აგენტი **დასტინ პენერი** სწორედ ამ უკანასკნელის საკუთრება გახდა.

ასე რომ, "ანაჰაიმის" 24 წლის ფორვარდი კარიერას "ოილერზში" გააგრძელებს. "მენავთობეებმა" პენერს, ხუთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 21.25 მილიონი დოლარი შესთავაზეს.

"დაქსმა" პენერისთვის მსგავსი პირობების შეთავაზება ვერ გარისკა და საკომპენსაციოდ, "ედმონტონისგან" 2008 წლის დრაფტის პირველ რაუნდში სამი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

ფორმულა 1

## ფიზიკელას რენოში დარჩენის იმედი აქვს

"რენოს" იტალიელი პილოტი **ჯანკარლო ფიზიკელა** დარწმუნებულია, რომ მიუხედავად წლევანდელი სუსტი გამოსვლისა (საერთო ჩათვლაში ფიზიკო მეშვიდე ადგილზეა), მომავალ სეზონსაც ფრანგული საჯინიბოს რიგებში გაატარებს.

34 წლის იტალიელი "რენოში" 2005 წელს ჩაირიცხა, ამ სეზონის ბოლოს კი, მის კონტრაქტს ვადა გასდის.

*"ჩვენი ბოლიდი ბოლომდე წესრიგში არ არის. მე კი, მაინც უკეთესობისკენ ვცდილობ საქმის წარმართვას და მაქსიმალურად ვიხარჯები. ამიტომაც იმედი მაქვს, რომ გუნდში ადგილს შევინარჩუნებ"*, - აცხადებს ფიზიკელა.

## ფეტელი გაისადაც ტორო როსოში იქნება

წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ სეზონის დარჩენილ რბოლებში, "ტორო როსოს" რიგებში ამერიკელ **სკოტ სპიდს** გერმანელი **სებასტიან ფეტელი** შეცვლის.

გუშინ კი გაირკვა, რომ ფეტელი 2008 წლის სეზონსაც ამ საჯინიბოში გაატარებს. შეგახსენებთ, რომ 20 წლის გერმანელი, აქამდე "BMW-ზაუბერის" ტესტ-პილოტის ფუნქციებს ასრულებდა.

სპორტული ტანვარჯიში

## ჩემპიონი ოლიმპიადისთვის დაბრუნდა

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუმინელმა **კატალინა პონორმა** შტუტგარტში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა გადაწყვიტა. ეს ტურნირი სექტემბერში გაიმართება.

20 წლის პონორმა შარშან, ევროპის პირველობის შემდეგ სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ახლა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა.

*"პონორმა ოლიმპიური თამაშების საგზური უნდა მოგვაპოვებინოს და გაისად, თავადაც უნდა იასპარეზოს პეკინში"*, - განაცხადა რუმინეთის ტანვარჯიშის ფედერაციის თავკაცმა **ადრიან სტოიკამ**.

ოლიმპიზმი

## ყველაზე დიდი და სუფთა

ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაისად, პეკინის ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის 600-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

სხვათა შორის, ოლიმპიადების ისტორიაში ეს ამერიკელებისთვის ათლეტების სარეკორდო რაოდენობა იქნება.

თანაც, აშშ-დან ჩინეთში "სუფთა" სპორტსმენები ჩავლენ. ამერიკის ანტი-სადოპინგო სააგენტოს ცნობით, ოლიმპიადამდე ეს ორგანიზაცია დოპინგთან ბრძოლის წესებს გაამკაცრებს, რათა დარწმუნებული იყოს ოლიმპიური ნაკრების ყველა წევრის პატიოსნებაში.

*"პეკინში ისეთ გუნდს ჩავიყვანთ, რომლის ნებისმიერ წევრთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ იარსებებს"*, - აცხადებს აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჯიმ შერი**.

# TV სპორტი

### 4 აგვისტო. შაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 საფეხბურთო კლუბი.
13:00 საერთაშორისო ტურნირი. შანხაი-ლივერპული. როტერდამი. ჰოლანდია.
14:40 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:25 საერთაშორისო ტურნირი. ფეიენოორდი-პორტუ. როტერდამი. ჰოლანდია.
17:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი 1/4 ფინალი. დეპორტივო-მილანი. საპასუხო მატჩი.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 გასული სეზონის ქრონიკა. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბენფიკა.
20:55 საერთაშორისო ტურნირი. ლაციო-ატლეტიკო. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
22:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:10 საერთაშორისო ტურნირი. აიაქსი-არსენალი. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
01:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. სტრასბური-მარსელი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
08:40 სპორტკლუბი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:10 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. კანზასი-ნიუ ინგლენდი.
14:05 სპორტის სამყარო.
14:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:00 სპორტკლუბი.
15:15 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. მეტალურგი (დ)-მეტალურგი (ზ).
17:00 ფიტნესი.
17:25 ფეხბურთი. Barca TV.
18:15 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
19:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ვორსკლა-მეტალისტი.
21:55 სპორტის სამყარო.
22:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:50 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ანაჰაიმი-დეტროიტი.
00:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
01:05 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-გოიაში.
03:05 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
06:05 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. კანზასი-ნიუ ინგლენდი.

#### EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
11:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ავსტრია (LIVE).
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-დომინიკის რესპუბლიკა. იაპონია (LIVE).
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-აშშ. პოლონეთი.
16:00 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია (LIVE).
16:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
17:45 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. კლასიკური რბოლა. სან-სებასტიანი. ესპანეთი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-აშშ. პოლონეთი.
21:00 სნუკერი.
21:45 მულტისპორტი.
22:30 ცხენოსნობა. ჩემპიონთა ტური. კონკური. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
02:15 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.

#### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
09:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
09:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. კუბა-ყაზახეთი. იაპონია (LIVE).
11:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 სერფინგი.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ავსტრია (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-შვეიცარია. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
15:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). კონფერენციის ჩემპიონატი. არენა ბოული. სან ხოსე-კოლამბუსი.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ავსტრია (LIVE).
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იტალია-პოლონეთი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
18:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
19:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 5-8 ადგილები. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
21:00 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია (LIVE).
21:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
22:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ჩინეთი. პოლონეთი (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ.
01:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია .
01:30 რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
02:45 ახალი ამბები.

### 5 აგვისტო. კვირა

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სტრასბური-მარსელი.
11:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:00 საერთაშორისო ტურნირი. აიაქსი-არსენალი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
13:40 ამხანაგური მატჩი. ბარსელონა-პეკინ გუოანი (LIVE).
15:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 შოტლანდიის ჩემპიონატი. სელტიკი-კილმარნოკი (LIVE).
18:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 საერთაშორისო ტურნირი. შანხაი-პორტუ. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
21:55 საერთაშორისო ტურნირი. ფეიენოორდი-ლივერპული. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-როსარიო.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
09:35 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტავრია-კრივბასი.
11:20 სპორტის სამყარო.
11:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-გოიაში.
13:30 ფიტნესი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
16:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
17:55 ფეხბურთი. ინგლისის სუპერთასი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
20:00 ფეხბურთი. Barca TV.
20:50 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ანაჰაიმი-ვანკუვერი.
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი.
00:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. დინამო-დნეპრი.
02:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-გოიაში.
04:25 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
06:10 ფეხბურთი. Barca TV.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
12:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
14:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ჩინეთი. პოლონეთი.
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ბრიტანეთი (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ავსტრია (LIVE).
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ავსტრია.
18:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-აშშ. პოლონეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).
00:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.

#### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
09:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
09:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. დომინიკის რესპუბლიკა-ყაზახეთი. იაპონია (LIVE).
11:30 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ავსტრია (LIVE).
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-კუბა. იაპონია (LIVE).
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბელგია (LIVE).
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ჩინეთი. პოლონეთი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბელგია.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მე-5 ადგილისთვის. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მე-3 ადგილისთვის. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
21:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მილანი-ინდეპენდიენტე | 0:0, პენ. 3:4 |
| შანხაი-ლივერპული | 0:2 |
| ლოკომოტივი-რეალი | 2:5 |
| დენ ბოში-ცვოლე | 2:1 |
| ნიიმეგენი-ომნივორლდი | 0:0 |
| ლონკასტერი-მანჩესტერ იუნ | 0:2 |
| ფეიენოორდი-პორტუ | 0:0 |
| ტრანმერი-სტოკი | 2:1 |
| ლევანტე-გრონინგენი | 0:0 |
| ქუინზ პარკი-ფულჰემი | 2:1 |
| ბენფიკა-ბეტისი | 0:0 |

| გერმანია. რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| მიუნხენი A-ბაიერნი A | 3:2 |
| ოგერშაიმი-შტუტგარტი A | 0:2 |

| გერმანიის თასი. 1/32 ფინალი | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 2:2, დ.დ. 4:2 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-ბულონი | 2:2 |
| ანჟერსი-გრენობლი | 0:2 |
| გინგამი-ნიორი | 0:0 |
| პავრი-ბრესტი | 1:1 |
| მონპელიე-დიჟონი | 1:1 |
| რეიმსი-ლიბურნი | 2:1 |
| სედანი-ჟენიონი | 3:1 |
| შატორუ-ნანტი | 1:2 |
| კლერმონი-ბასტია | 2:3 |

| ბელგია | |
|---|---|
| მეხელენი-ანდერლეხტი | 0:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ტიროლი-აუსტრია (ვ) | 1:1 |

| ავსტრია. II დივიზიონი | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-გრატკორნი | 0:0 |
| აუსტრია II-კაპფენბერგი | 2:2 |
| კერნტენი-ბად ოსი | 2:2 |
| ლეობენი-ლუშტენაუ | 2:1 |
| ზალცბურგი II-შვანენშტადტი | 0:1 |

| შვეიცარია. ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| კონკორდია-ლუგანო | 1:1 |

| ირლანდია | |
|---|---|
| კორკი-სლიგო | 1:2 |
| გალვეი-უოტერფორდი | 1:2 |

| რუსეთი | |
|---|---|
| სატურნი-ყუბანი | 2:0 |

| უკრაინა | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-მეტალურგი (ზ) | 3:0 |

| პოლონეთი | |
|---|---|
| კორონა-ლეხი | 1:0 |

| უნგრეთი | |
|---|---|
| შიოფოკი-დებრეცენი | 1:1 |
| ზალაეგერშეგი-დიოშდიორი | 4:1 |

### კალათბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| იტალია-ავსტრალია | 86:54 |

### ჩოგბურთი

| ATP. ვაშინგტონი | |
|---|---|
| ჰაასი-ისნერი | 4:6, 7:6, 6:7 |

| ATP. სოპოტი | |
|---|---|
| აკასუსო-მაიერი | 7:6, 6:3 |
| მონტანიესი-ვასალო არგელო | 2:6, 6:4, 6:2 |
| ანდრეევი-სიმონი | 4:6, 5:7 |
| რობრედო-კუბეკი | 5:7, 6:4, 6:1 |

| WTA. სან დიეგო | |
|---|---|
| პეტროვა-შნიდერი | 4:6, 4:6 |
| შარაპოვა-მირზა | 6:2, 6:1 |
| დემენტიევა-კირილენკო | 6:2, 6:4 |

| WTA. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| დუშევინა-ციბულკოვა | 6:4, 6:7, 6:3 |

NBA. ვაშინგტონ უიზარდსი

# ნავარო დედაქალაქელთა მძევალია

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ესპანელი კალათბურთელი **ხუან კარლოს ნავარო** მომავალი წლიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში აპირებდა თამაშს, მაგრამ "ბარსელონას" გამთამაშებლის ოკეანისგაღმულ კარიერას საფრთხე დაემუქრა.

ნავარო აღშფოთებულია "ვაშინგტონ უიზარდსის" გენერალური მენეჯერის, **ერნი გრიუნფელდის** მოქმედებით. კალათბურთელი აცხადებს, რომ დედაქალაქურმა კლუბმა ის ფაქტორივად, მძევლად აიყვანა.

ესპანეთის ნაკრების მცველის აღშფოთება სამართლიანია. ნავაროსთან დაკავშირებით "ვაშინგტონმა" NBA-ის სხვადასხვა კლუბებისგან დაახლოებით ათამდე წინადადება მიიღო, მაგრამ ყოველი მოლაპარაკებებისას, სრულიად აბსურდულ მოთხოვნებს აყენებდა. ასე მაგალითად, როცა "უიზარდს" "ბოსტონის" მესვეურები დაუკავშირდნენ, გრიუნფილდმა უსირცხვილოდ გამოაცხადა - ნავაროს მხოლოდ **პოლ პირსში** (!) გავცვლიო.

ეს პრობლემა არ წარმოიშვებოდა, თავად "ვაშინგტონი" ესპანელ ვარსკვლავთან კონტრაქტის გაფორმებას რომ აპირებდეს, მაგრამ დედაქალაქელები ამას არ აკეთებენ, არადა, იმავე ნავაროს განცხადებით, გრიუნფელდი მას მრავალწლიან ხელშეკრულებას დაპირდა.

კალათბურთელს "ბარსელონასთან" კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ამ ზაფხულს, კატალონური კლუბის მესვეურებმა კეთილი ნება გამოიჩინეს - მათ იცოდნენ ნავაროს NBA-ში თამაშის სურვილის შესახებ და გამთამაშებელს ოკეანის გაღმა გამგზავრების ნება დართეს.

ამასობაში, "ვაშინგტონმა" კონტრაქტი გააგრძელა **დეშონ სტივენსონთან**, რომელიც სწორედ ნავაროს ამპლუის მოთამაშე გახლავთ. ამასთან, კლუბის ხელმძღვანელობა არ თმობს ესპანელზე დრაფტის დროს მოპოვებულ უფლებას, რათა აღმოსავლეთში კონკურენტებს გაძლიერების საშუალება არ მისცეს.

არსებულ სიტუაციაში, ნავაროს აგენტმა NBA-ის კომისარის, **დევიდ სტერნის** საქმეში ჩარევა მოითხოვა, მაგრამ ლიგის შეფს პრობლემის მოგვარება არ შეუძლია: თუ კლუბმა მოთამაშე დრაფტზე აირჩია, მასზე უფლებას იქამდე ინარჩუნებს, სანამ კალათბურთელი სხვა კლუბში იღებს ჰონორარს. ამ სიტუაციაში, ნავარო თავისუფალი აგენტის სტატუსს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ერთ პროფესიულ სეზონს გამოტოვებს.

პრობლემის სწრაფად მოგვარება სურს თავად "ბარსელონასაც". ივლისის ბოლოს, კატალონელებმა ნავაროს ამერიკაში გადაბარგების ბოლო ვადა დაუდგინეს - არაუგვიანეს 3 აგვისტოსა. თუ მანამდე კალათბურთელმა NBA-ში კლუბი ვერ გამონახა, "ბარსელონაში" დაბრუნება და კვლავ ესპანეთში მოუწევს თამაში.


ხუან კარლოს ნავარო




სერენა უილიამსი

ტრავმა

# სერენა ჩოგანს ვეღარ იქნევს

ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** ზედიზედ მეორე ტურნირში გამოსვლაზე თქვა უარი. სტენფორდის შემდეგ, უმცროსმა უილიამსმა ლოს ანჯელესის ჩემპიონატიდანაც გამოიტანა განაცხადი. ამის მიზეზი გახლავთ ხელის თითის ის ტრავმა, რომელიც სერენამ ჯერ კიდევ უიმბლდონის დროს მიიღო.

*"მას ჩოგნის მოქნევაც კი არ შეუძლია"*, - აცხადებს უილიამსების მამა **რიჩარდი**, რომელიც ამჟამად სან დიეგოში უფროსი ქალიშვილის, **ვენუსის** გამოსვლას ესწრება. აღსანიშნავია, რომ ლოს ანჯელესში ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბება. კერძოდ, ამ ტურნირზე ითამაშებენ **მარია შარაპოვა, ელენა იანკოვიჩი** და **ანა ივანოვიჩი**.

"დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის ჩემპიონმა თითი უიმბლდონზე **დანიელა ჰანტუხოვასთან** მერვედფინალურ მატჩში დაიზიანა. მას შემდეგ, სერენა უკვე მეოთხე ტურნირს ტოვებს. გარდა ამისა, მან ვერ ითამაშა ფედერაციის თასის ნახევარფინალში, სადაც ამერიკის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე წააგო რუსეთთან.

WTA-ს ტური

# ორი ცნობილია

წლევანდელი სეზონის შემაჯამებელი ტურნირი 6-11 ნოემბერს მადრიდში გაიმართება. ესპანეთის დედაქალაქში წლიწადის 8 საუკეთესო ჩოგბურთელი შეიკრიბება და ისინი სეზონის საუკეთესო მოთამაშეს გამოავლენენ.

არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატში უკვე გაინაღდეს მონაწილეობა ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**.

ანენი WTA-ს საჩემპიონო რბოლაში დამაჯერებლად ლიდერობს - ბელგიელის ანგარიშზე 3245 ქულაა. მას საკმაოდ ჩამორჩება იანკოვიჩი (2990), თუმცა ქულათა ეს მარაგიც საკმარისია იმისთვის, რომ სერბი მადრიდში გაემგზავროს.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჟუსტინ ანენმა წლეულს უკვე ხუთი ტურნირის მოგება მოასწრო, მათ შორის, ზედიზედ მესამედ მოიპოვა "როლან გაროსის" მთავარი პრიზი. სხვათა შორის, ბელგიელი ზედიზედ მეშვიდედ მოხვდა შემაჯამებელი ჩემპიონატის ბადეში.

რაც შეეხება იანკოვიჩს, ის ისტორიაში პირველი სერბი ჩოგბურთელი გახდა, ვინც ამ დონის ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. წლეულს, ელენამ ანენზე ერთით ნაკლები - ოთხი ტიტული მოიპოვა.

*"გასული წლის დასაწყისში ძალიან რთული პერიოდი მქონდა. მაშინ სპორტისთვის თავის დანებება და უნივერსიტეტში დაბრუნება მინდოდა. მაგრამ გავიდა 15 თვე და ყველაფერი შეიცვალა. ეს დაუჯერებლია!"* - ამ ამბის გაგების შემდეგ, ემოციებს ვერ მალავდა იანკოვიჩი.

ჩოგბურთელის ემოციები გასაგებია. სერბი გასული წლის ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშეა. 2006 წლის მაისში, ის რეიტინგში 38-ე ადგილს იკავებდა, ახლა კი, კლასიფიკაციაში მესამე ადგილს ინარჩუნებს.


იანკივიჩი უკვე მადრიდშია

## ტურნირები

### ATP

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-შტეპანეკი (ჩეხ, 15) 6:3, 1:6, 7:5; **ტომი ჰაასი (გერ, 2)**-მიხაელ ბერერი (გერ, 16) 6:3, 6:4; **მარატ საფინი (რუს, 3)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:5, 6:7 (2), 7:5; **ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორ, 5)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 11) 2:6, 6:2, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 7)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ, 12) 6:2, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:7 (5), 6:3, 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:7 (4), 7:6 (7), 7:6 (7); **პოლ კაპდევილე (ჩილ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:6 (5), 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

როდიკი (1)-ლი; კაპდევილე-კარლოვიჩი (7); მონფილსი (9)-საფინი (3); ისნერი-ჰაასი (2).

**Orange Prokom Open**

სოპოტი (პოლონეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 425 250 ევრო

**1/8 ფინალი**

**მარტინ ვასალო არგელო (ესპ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 2:6, 6:3, 2:1 დავიდენკოს ტრავმა; **ტომი რობრედო (ესპ, 2)**-სტივ დარცისი (ბელ) 1:6, 6:0, 7:5; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-მარიანო საბალეტა (არგ) 4:6, 6:3, 7:5; **სტეფან კუბეკი (ავსტრია)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:2, 3:6, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ვასალო არგელო-მონტანიესი; მაიერი (7)-აკასუსო; სიმონი-ანდრეევი; რობრედო (2)-კუბეკი.

### WTA

**Acura Classic**

სან დიეგო (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 13) 6:0, 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-ელენა იანკოვიჩი (რუს, 2) 6:2, 3:6, 7:5; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)**-აი სუგიამა (იაპ) 6:4, 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 6:3, 7:6 (8); **ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 5) 6:4, 7:5; **ვენუს უილიამსი (აშშ, 10)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 6) 6:0, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 11)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 7) 6:1, 6:7 (4), 6:3; **სანია მირზა (ინდ)**-დინარა საფინა (რუს, 8) 6:1, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

შარაპოვა (1)-მირზა; ჩაკვეტაძე (3)-ვ. უილიამსი (10); შნიდერი (11)-პეტროვა (4); დემენტიევა (9)-კირილენკო.

**Nordea Nordic Light Open**

სტოკჰოლმი (შვედეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 1) 6:3, 6:7 (3), 6:3; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-ელენა ვესნინა (რუს) 7:5, 6:1; **სტეფანი კოენ ალორო (საფ)**-იულია ფედოსოვა (საფ) 5:7, 6:4, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

დუშევინა (8)-ციბულკოვა; ლუა (3)-გეორგესი; პირონკოვა-კოენ ალორო; რადვანსკა (2)-ვოზნიაჩკი.

კალათბურთი

## ჩიკაგომ კარი გაიფორმა

"ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტი გააფორმა წლევანდელი დრაფტის მეორე რაუნდში არჩეულ ფორვარდ **ჯეიმისონ კარისთან**.

ეს კალათბურთელი გასულ სეზონში ოკლაჰომას უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 13.5 ქულასა და 2.9 მოხსნას აგროვებდა.

## მილანის ახალი შენაძენი

"მილანმა" ახალი სეზონისთვის მორიგი შევსება მიიღო. მან "ნაპოლიდან" ფორვარდი **ანსუ სესაია** დაიმატა.

სესაიამ გასულ ევროლიგაზე 12 მატჩი ჩაატარა და ასეთი სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდა - 10 ქულა, 4.8 მოხსნა და 0.9 დაფარება. რაც შეეხება იტალიის ჩემპიონტს, 31 წლის ფორვარდი საშუალოდ მატჩში 12.5 ქულასა და 6 მოხსნას აგროვებდა.

## ჟალგირისი NBA-ში მიდის

შემოდგომაზე ლიტვის ჩემპიონი კაუნასის "ჟალგირისი" ჩრდილოეთ ამერიკაში ტურნეს გეგმავს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ლეგენდარული კლუბი ოკეანის გაღმა NBA-ის კლუბებთან ორ შეხვედრას გამართავს.

17 ოქტომბერს "ჟალგირისის" მეტოქე "ტორონტო რეპტორზი" იქნება, ხოლო ორ დღეში ლიტველებს მეტოქედ "ვაშინგტონი" ეყოლებათ.

## მილიჩი ისევ სლოვენიაშია

მცველი **მარკო მილიჩი** მშობლიურ "ოლიმპიაში" ბრუნდება.

მილიჩმა სლოვენიის ჩემპიონთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 30 წლის კალათბურთელი შარშანაც ლუბლიანურ კლუბში თამაშობდა, მაგრამ "ოლიმპიაში" არსებული ფინანსური პრობლემების გამო, სეზონის მსვლელობისას "რეალში" გადაბარგდა, თუმცა იქ მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო და შემდეგ, სეზონის ბოლომდე ტრავმა მიიღო.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა